თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

იზა აბშილავა

ნაშრომი: ადამიანის უფლებების დარღვევა ოკუპირებულ აფხაზეთში

წარმოდგენილია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177, საქართველო.

2020 წელი, ივლისი

საიდენტიფიკაციო ნომერი:

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორის ხელმოწერა:

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ რომ გავეცანით იზა აბშიალავს მიერ შესრულებულ ნაშრომს „**ადამიანის უფლებების დარღვევა ოკუპირებულ აფხაზეთში**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დაცვის თარიღი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული
განვითარების სამსახურის უფროსი _____

რეცენზენტი: _____

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევი თემაეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძოდ, აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღწერასა და გამოვლენას. არსებული საკითხი მეტად კომპლექსურია, რაც ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების ნაირსახეობათა მთელ რიგ ჯაჭვს.

ნამშრომში ყურადღება მახვილდებაისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები, დისკრიმინაცია, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, ბორდერიზაციის პროცესის აღწერა, კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის გაცნობა, უძრავი ქონების უკანონოდ ყიდვა-გაყიდვის პროცესის აღწერა, ბავშვთა უფლებების დარღვევა. ნაშრომი გაჯერებულია როგორც შესაბამისი ლიტერატურით, ასევე კვლევებით/ნაშომებით და სტატისტიკური მონაცემებით. საკითხი ეყრდნობა ისეთ ოფიციალურ მონაცემებს, რომელებიც გამოქვეყნებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა დაომბუცმენის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.ნაშრომში წარმოდგენელია გალში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერვიუები უშუალოდ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის, ექსპერტებისა და ანალიტიკოსების შეფასება როგორც წარსულში მომხდარ, ასევე მიმდინარე მოვლენებზე.

კველევაში ასახულია შედეგები,რომელიც მოაქვს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანებისათვის საოკუპაციო მავთუხლართებსა და ხელოვნურ ბარიერებს, უკანონობას, მუდმივ შიშსა და გაურკვევლობაში ცხოვრებას. წარმოდგენილი თემა პასუხებს შემდეგ შეკითხვებს : რა სასიცოცხლო გავლენა აქვს აფხაზეთის რეგიონში ე.წ. გადასასვლელი პუნქტის ჩაკეტვას; როგორია

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა; როგორ ფასდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მიერ იქ არსებული ჯანდაცვის სისტემა, დემოგრაფიული სურათიაფხაზეთში; ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი;რა საქმიანობა ხორციელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების პრევენციის მიზნით; რამდენად შედეგიანია დიალოგის პოლიტიკა აფხაზებთან და რუსეთის ფედერაციასთან; როგორ აფასებენ ადგილობრივები ჩვენ მხრიდან მრავალგზის სიამაყით წარმოთქმულ სამშვიდობო პოლიტიკას, ნდობის აღდგენისა და შერიგების გზას.

აუცილებელია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანი გამოყენება, გალის შეხვედრების აღდგენა, ინციდენტების პრევენციისა და ადამიანის უფლებების რეალური დაცვის მიზნით. მიუხედავად საერთაშორისო დონეზე მუდმივი მოწოდებებისა, სამწუხაროდ, პროგრესი ვერ იქნა მიღწეული, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების, მათ შორის, ევროპის საბჭოდან, წვდომა აფხაზეთსა და ასევე ცხინვალის რეგიონზე.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში მთელი მსოფლიო დაკავებულია ადამიანთა მოდგმისათვის საშიშ COVID-19 ბრძოლით, მაგრამ ოკუპირებულ აფხაზეთში ბორდერიზაციის პროცესი არ შეჩერდა. რუსეთის ფედერაცია არ ცხრება და განაგრძობს საქართველოს ტერიტორიების ვერაგულად მიტაცებას. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმაც დაადასტურა ინფორმაცია რუსეთისუშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ 2020 წლის 17 იანვრის N 12 ბრძანების თანახმად მაღალმთიანი სოფლის აიბგას კრასნოდარის მხარისთვის მიკუთვნების შესახებ. შესაბამისი ინფორმცია განთავსებულია როსრეესტრის საიტზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობითა და ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტის გაძლიერებით ლოგიკური იქნება თუ ვიმსჯელებთ, რომ სამომავლო

პერსპექტივაში პასუხი მოეთხოვოს რუსეთის ფედერაციას. არ უნდა რჩებოდეს მხოლოდ ფაქტების აღწერის დონეზე ადამიანის უფლებების დარღვევის ისეთი ცალკეული შემთხვევები, როგორიცაა ოთხოზორია - ტატუნაშვილის საქმე, კვარაცხელია და ბევრი უსამართლოდ გაწირული, დაჩაგრული, უფლება წართმეული სიცოცხლე.

Resume

The research topic is to describe and identify the facts of human rights violations in the occupied territories of Georgia, in particular in Abkhazia. The current issue is very complex, which creates a number of different types of human rights violations.

The paper focuses on such important issues as: restriction of free movement, illegal detention, discrimination, prohibition of education in the mother tongue, description of the borderization process, acquaintance with the state of cultural heritage, description of the process of illegal sale and purchase of real estate, violation of children's rights. The paper is saturated with relevant literature as well as research / papers and statistics. The issue is based on official data published on the official websites of the Ministry of Foreign Affairs of Georgia, the bomber of the Autonomous Republic of Abkhazia. Evaluation of the authorities of the Autonomous Republic of Abkhazia, the representative of the Public Defender's Office, experts and analysts on both past and current events.

The study outlines the consequences for people affected by the conflict with occupational barriers and artificial barriers, lawlessness, constant fear and uncertainty in life. The presented topic answers the following questions: what is the vital impact of the so-called Closing the crossing point; What is the health status of the population; How the healthcare system in the demographic picture newspaper is assessed by the citizens living in the occupied territories; The format of the Geneva talks and the role of international organizations; what activities are being carried out to prevent serious human rights violations in the occupied territories; How effective is the policy of dialogue with Abkhazians and the Russian Federation; How do the locals appreciate the peace policy we have proudly expressed many times, the way to restore trust and reconciliation.

It is necessary to use the Geneva International Talks effectively, to restore the Gali meetings, to prevent incidents and to truly protect human rights. Despite international level constant calls , unfortunately, progress has not been achieved , in order to ensure the

human rights monitoring mechanisms, including the , the European Union , access to Abkhazia and also South Ossetia region.

Over the past few years, the whole world is busy human generation dangerous COVID-19 fighting , but the process is not stopped in the occupied Abkhazia borderization. With the involvement of international organizations and the strengthening of the authority of the Georgian state, it would be logical to judge that the Russian Federation will be held accountable in the future . Not only individual cases of human rights violations such as Otkhozoria - Tatunashvili's case, Kvaratskhelia and many unjustly doomed, oppressed, deprived of life rights should not remain.

შინაარსი

ანოტაცია ქართულ ენაზე 2

ანოტაცია ინგლისურ ენაზე..... 4

შესავალი.....7

თავი 1. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამართლებრივი შედეგები.....10

1.1. საქართველოს კანონი - ოკუპირებული ტერიტორიებისა და ადამიანის უფლებების შესახებ.....11

1.2. ადამიანის უფლებების შესახებ 12

თავი 2. ადამიანის უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევები 2018-2019 წლებში

2.1. ე.წ. საზღვარი (2018 – 2019 წელი).....17

2.2.ქართულ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა..... 29

2.3. უძრავი ქონების საკითხი ოკუპირებულ აფხაზეთში.....35

2.4. კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ აფხაზეთში.....43

2.5. ბორდერიზაციის მორიგი ეტაპი.....46

თავი 3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დისკრიმინაციის ფაქტები.....4
7

3.1. ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევა.....51

3.2. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობა, შედეგები და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა.....52

დასკვნა.....
....56

გამოყენებული ლიტერატურა.....
.....59

შესავალი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემაა ადამიანის უფლებების დარღვევა ოკუპირებულ აფხაზეთში.

ყველასათვის ცნობილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევები, მაგრამ კვლევის მიზანია პირდაპირი დაკვირვებისა და რამდენიმე წლიანი მუშაობის შედეგად წარმოვადგინოთ ახალი ანალიზი. ბოლო დროს სოციალურ ქსელში აქტიურად ჩანს სიძულვილის ენა, რომელსაც აფხაზი ახალგაზრდები მიმართავენ, ამიტომ აუცილებელი და დაგვიანებულიცაა საუბარი იმაზე, რომ საჭიროა ქართველი ახალგაზრდების გააქტიურება, საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი ქმედითი ნაბიჯები, გალის შეხვედრების აღდგენა, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დაახლოების პროცესის დაჩქარება.

თანამედროვე რეალობაში შეინიშნება ქართული მხარის მზადყოფნა ხელი შეუწყოს სამშვიდობო პოლიტიკას ნდობის აღდგენის საკითხებში. მიუხედავად ამისა წლების განმავლობაში ვითარება უფრო მძიმდება და ჩიხში შედის. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად გრძელდება ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უფლებების დარღვევის შემთხვევები. რეგულარულად მიმდინარეობს გამყოფ ხაზზე ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, ადამიანთა უსამართლო დაკავება- დაჯარიმება-დაპატიმრებისშემთხვევები.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანების უფლებების დაცვა დღემდე გადაუჭრელ საკითხად რჩება. ადამიანის უფლებების დარღვევის პირდაპირი ნიმუშია გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული სკოლების გაუქმება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, გალისმოსახლეობის „ბინადრობის უფლებით" ცხოვრების სტატუსზე გადაყვანა, რაც ადგილობრივ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას საკუთარი ქონების განკარგვისა და ახლის შეძენის უფლებას ართმევს, უკანონო დაკავებები, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა,

ადამიანების გატაცებები, დისკრიმინაცია, ბორდერიზაცია. ხელოვნურად შექმინილი ეს ბარიერები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ისედაცმ ძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და მათ ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის.

მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების_გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ასევე, აშშ-სა და სხვა პროგრესული სახელმწიფოების არაერთგზის მოწოდებისა, საოკუპაციო და სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლები ცინიკურად აცხადებენ, რომ "აფხაზეთი ოკუპირებული არ არის და ეს მხოლოდ ქართული მხარის ილუზიებია". ისინი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისას „ამტკიცებენ", რომ აფხაზეთში მცხოვრები ადგილობრივი, ეთნიკურად ქართული მოსახლეობის უფლებები არაფრით არ იზღუდება, მათ შევიწროებასა და დისკრიმინაციას ადგილი არა აქვს. რეალურად, მოსახლეობის უფლებების დაცვა მინიმალურ დონეზეც ვერ ხერხდება, რაც განპირობებულია ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების, უსაფრთხოების არარსებობით. მოსახლეობა გამუდმებულ საფრთხეში, სიცოცლისა და ჯანმრთელობის საშიშ გარემოში ცხოვრობს.

საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ა.რ მთავრობის, ომბუცმენის აპარატის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე დაყრდნობით გავეცნოთ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს ოკუპირებულ აფხაზეთში, 2018 - 2019 წლებში.

ნაშრომის მიზანია ფაქტების უშუალო გამოვლენითა და პროცესების აღწერის საფუძველზე წარმოადგინოს ახალი ანალიზი, რომლის მიხედვითაც ვასკვნით, რომ საჭიროა პირდაპირი დიალოგი ქართველ და აფხაზ ხალხს შორის. იგივე გალის შეხვედრების აღდგენა, მეტი პირდაპირი კომუნიკაცია. სწორედ ახლა არის იმის დრო , რომ ვისაუბროთ ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრაზე. იმ ფონზე, რომ ძალიან იმატა სოციალურ ქსელში მათი მხრიდან აგრესიის პოლიტიკამ,

სახეზეა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ერთმანეთთან გაუცხოების პროცესი. აფხაზეთში ასწავლიან გაყალბებულ ისტორიას, რომ ქართველები მკვლელები არიან და მათი ბრალია რაც მოხდა . ოკუპირებულ აფხაზეთში ძალიან სწრაფად მიმდინარეობს რუსიფიკაციის პროცესი. როგორც ისტორიაშია ცნობილი 27 წელი კონფლიქტის გადაწყვეტისთვის არც ისე ბევრია, მაგრამ თაობის დაშორებისთვის საკმარისია, ამიტომ პრობლემას დროული აღმოფხვრა სჭირდება.

ნაშრომის ამოცანაა პირველ წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნას ინფორმაცია რა მდგომარეობაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია დედუქციის მეთოდი. დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევების შედეგები. კვლევით პრაქტიკაში დეტალურადაა აღწერილი გაწეული სამუშაოების მეთოდოლოგია, მიღებული შედეგები. ასევე გამოვიყენე ინტერვიუს მეთოდი (ყველა ინტერვიუ ჩემი ჩაწერილია).

თემის აქტუალურობას განაპირობებს, ის რომ სოციალურ ქსელში იმატა აფხაზი ახალგაზრდების აგრესიამ , ზოგადად აგრესიის პოლიტიკამ. დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ისტორიის ფალსიფიცირება, ადამიანის უფლებების დარღვევა.

თავი 1. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამართლებრივი შედეგები

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორია მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იღებს სათავეს. 1992-1993 წლების ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა[1]. სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში. კონფლიქტის მოგვარების ხელისშემშლელი ფაქტორები იყო სამოქალაქო ომი ე. წ. „ზვიადისტებთან“ (ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან), რომელიც მიახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში — სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 10 ათასზე მეტი მშვიდობიანი ქართველი და ასეულობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დაიჭრა და დასახიჩრდა 10 ათასამდე კაცი გაძევებულ იქნა 300 ათასზე მეტი ადამიანი[2]. აქედან, 50-60 ათასი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტისშედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და

1. გამახარია ჯემალ, თეიმურაზ გვანცელაძე, „აფხაზეთის უძველესი დროიდან დღემდე“,გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007 წელი

[2]ჯემალ გამახარია,ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯუა „ აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები”, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019 წელი

ომისშემდგომმაუწესრიგოშეტაკებებმაქვეყანა ფაქტობრივად გაანადგურა. დღესაცაფხაზეთისრეგიონი, რომელიც საქართველოს გან დეფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას, ყოველდღიურად უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, არ არსებობს სამართალი და სამართლიანობა. გალში მოსახლეობას ყოველდღიურად უწევს ბრძოლა გადარჩენისათვის. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის „დეფაქტო პროტექტორატია“. ამიტომ აქტიურად მიმდინარეობს რუსიფიკაციის პროცესი. რუსული პოლიტიკა უკავშირდება აფხაზეთის ეთნოსისა და კულტურის გაქრობას, რადგან ოკუპაციის, მილიტარიზაციისა და რუსიფიკაციის პირობებში ნამდვილად აფხაზური ენა, კულტურა და ეთნოსი დგას სერიოზული საფრთხის წინაშე. რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიამ და იქ განხორციელებულმა ეთნიკურმა წმენდამ კარდინალურად შეცვალა ამ კუთხის დემოგრაფიული სურათი. დღეს სეპარატისული რეჟიმი არსებობს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის ხარჯზე და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე , ყველა არსებული პრობლემების წარმოქმნაზე პასუხისმგებლობა სწორედ ამ ოკუპანტ ქვეყანას ეკისრება. ამდენად საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების როლის მნისვნელოვან გაზრდას მიიჩნევს. შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელია სამშვიდობო ფორმატის შეცვლა და აფხაზურ მხარესთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოება.

1.1.კანონი- ოკუპირებული ტერიტორიებისა და ადამიანის უფლებების შესახებ

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად ოკუპირებული რეგიონების სტატუსს და ადგენს მათ განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს. კანონის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არ მქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან;

ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან.

კანონისმე-6 მუხლის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია:

ნებისმიერი ეკონომიკური (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობა;

სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა;

საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციით დადგენილი შემთხვევებისა;

სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა;

სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა;

ფულადი გადარიცხვების ორგანიზება;

ჩამოთვლილი საქმიანობის დაფინანსება ან რაიმე სხვა ფორმით ხელშეწყობა.

კანონის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. ოკუპირებულ ტერიტორიებზეა მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალული საქმიანობის განხორციელება და შვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპეციალური თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

1.2.ადამიანის უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ თანამედროვე კონვენციებს და დეკლარაციებს წინ უძღოდა ისეთი ისტორიული დოკუმენტების მიღება, როგორებიცაა ინგლისის თავისუფლებათა დიდი ქარტია (1215 წ.) და საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (1789 წ.), ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია (1787 წ.)

დღეისათვის, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და უზრუნველყოფილია არაერთი საერთაშორისო კონვენციით და დეკლარაციით, მათშორის, გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ევროპისსაბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათ ადაცვის შესახებ, ევროპის საბჭოს 1961

წლის 26 თებერვლის ევროპის სოციალური ქარტიით; 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული გაეროს ორი პაქტით - "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" და "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების" შესახებ.

ისევე როგორც ყველა სხვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციები, ადამიანის უფლებებს აღიარებს და უზრნველყოფს საქართველოსკონსტიტუციაც (2017 წლის 13 ოქტომბრისმდგომარეობით). კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის თანახმად, "სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს".

კონსტიტუციით მეორე თავით დაცულია:

ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების, პატივისა და ღირსება ხელშეუვალობა;

სიტყვის, აზრის, სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება;

პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და შეტყობინებათა ხელშეუხებლობა;

საკუთრების უფლება;

თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებლის თავისუფალი არჩევის უფლება;

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების, აზრების თავისუფლად გამოთქმისა და გავრცელების უფლება;

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება;

გაერთიანებების შექმნის უფლება;

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;

ინტელექტუალური შემოქმედებისთავის უფლება;

შრომის თავისუფლება;

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანთა თანასწორობას: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელიადგილისა”.

მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულება სწორედ ოკუპანტ სახელმწიფოს ანუ რუსეთს ეკისრება. ქმედებები კი, რომელსაც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა რუსეთის ფედერაციის წაქეზებითა თუ უმოქმედობით სჩადის, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოშობს. მაგალითისთვის უხეშადაა დარღვეული ქართულე ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. საკუთარ ენაზე განათლების მიღების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით არის გარანტირებული, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებშიც ვრცელდება. დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განათლების მიღება საკუთარი ენის დამწერლობაზე დაუბრკოლებლად სწავლის შესაძლებლობასაც მოიცავს.უხეშადაა დარღვეული გადაადგილების უფლება, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებით შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მონაწილე მხარეები რუსეთიც და საქართველოც არიან, ადგენს, რომ თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევებშია დასაშვები, რომლებიც „აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.“გადაადგილების უფლების შეზღუდვა პროპორციულიც უნდა იყოს. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის (დამოუკიდებელი ექსპერტებისგან

შემდგარი ორგანო, რომელიც მონაწილე მხარეების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს) თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს „იმაზე უფრო მეტად შემზღუდველი ზომები," ვიდრე ამ შეზღუდვის მიზნის მისაღწევადაა საჭირო. არჩევანი მიზნის მისაღწევად საჭირო ყველაზე უფრო ნაკლებად შემზღუდველ ზომაზე უნდა გაკეთდეს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ოკუპანტმა ძალამ (ამ შემთხვევაში რუსეთი) მოსახლეობის მიმართ კონტროლის და უსაფრთხოების მხოლოდ ისეთი ზომები უნდა გაატაროს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის გამო გახდა საჭირო. საერთაშორისო ამნისტიამ რუსეთის ხელისუფლებას და დე ფაქტო მთავრობებს გადაადგილების უფლების შეზღუდვის შესახებ განმარტებების თაობაზე 2018 წლის ივლისში მიმართა, მაგრამ ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის ორგანიზაციას კითხვებზე პასუხი არ მიუღია.

საერთაშორისო სამართლით, რუსეთი ვალდებულია პატივი სცეს და უზრუნველყოს მათი უფლებები, ვინც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთას ცდილობს, განსაკუთრებით მათი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვა[3]. რუსეთსა და დე ფაქტო მთავრობებს შორის დადებული „საზღვრის" კონტროლის შეთანხმებები არ ამართლებს ადგილობრივთა უფლებების დარღვევის ფაქტებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით და ოკუპაციის სამართლით, სამოქალაქო პირების დაცვის ვალდებულება არ შეიძლება შეიზღუდოს ოკუპანტ ძალასა (ამ შემთხვევაში რუსეთის) და ოკუპირებული ტერიტორიების დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის დადებული სხვა რაიმე შეთანხმებით. რუსეთი როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის,

[3] დაზმირ ჯოჯუა, „აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები", გამომცემლობა „ირიდა, 2014 წელი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მონაწილე მხარე, ვალდებულია უზრუნველყოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სრული აკრძალვა მის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, მათ შორის სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. ამასთანავე, რუსეთი ვალდებულია უზრუნველყოს დანაშაულთა გამოძიება და დამნაშავე პირთა მიმართ სამართლის აღსრულება.

თავი 2. აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები

2018 – 2019 წელი

2.1. ე.წ. საზღვარი (2018 – 2019 წელი)

რუსი და აფხაზი „მესაზღვრეები“ ისევ აგრძელებდნენ ენგურის პერიმეტრის „უკანონოდ“ გადაკვეთის ბრალდებით ადამიანთა დაკავებას, მათი წინასწარი გამოძიების იზოლატორში გადაყვანასა და დაჯარიმებას. 2018 წლის 6 თებერვალს, შუადღისას, რუსმა “მესაზღვრეებმა“ განმუხური-ფიჩორის გამყოფ ხაზზე ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს გალის რაიონის სოფელ ფიჩორის მცხოვრები, მ.შ. მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად. დაკავებული ე.წ. საზღვარზე მდინარის ფონით აპირებდა გადასვლას. რუსმა „მესაზღვრეებმა“ დედა და ბავშვები სოფელ ოტობაიის სამხედრო ბაზაში გადაიყვანეს, რის შემდეგაც მ.შ-ს მეუღლე ი.ჯ. დაიბარეს და ბავშვები მას გადასცეს, დაკავებული კი გალის მილიციაში გადაიყვანეს და ჯარიმის სახით 4800 რუსული რუბლის (220 ლარამდე) გადახდა დააკისრეს. მ.შ. მხოლოდ გვიან ღამით გაათავისუფლეს. 22 თებერვალს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ენგურის გამშვებ პუნქტთან ე.წ. „საზღვრის უკანონოდ კვეთის“ ბრალდებით ზუგდიდის მკვიდრი მ. წ. დააკავეს, აფხაზური მედიის ინფორმაციით, მ.წ. ენგურის გავლით გალში მოხვედრას ცდილობდა. იმის გამო, რომ გასულ წლებში საოკუპაციო და სეპარატისტულმა ძალებმა გამშვები პუნქტები დახურეს და მხოლოდ ორი მათგანი დატოვეს (ენგურის ხიდი და საბერიო-წყოუშის გადასასვლელი) ამ გამშვებ პუნქტებზე მუდმივად რიგებია. ადამიანები ხშირად

ორი-სამი საათის განმავლობაში უცდიან თავიანთ რიგს, რათა ე.წ. საზღვარზე გადავიდნენ. მათ შორის არიან ავადმყოფები, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სამკურნალოდ გადადიან და მოსწავლეები, რომელთაც სასწავლებლად ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებში უწევთ გადასვლა, რადგანაც გალის რაიონში ქართული სკოლების დახურვის გამო ბავშვებს ადგილზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება არა აქვთ. როგორც ადგილობრივი მოსახელეობა აცხადებს, მუდმივი რიგების გამო გამშვებ პუნქტებზე მოქმედებს ე.წ. საზღვარზე „არალეგალურად“ გადაყვანის კორუფციული სისტემა, რომელშიც რუს „მესაზღვრეებთან“ შეთანხმებული „გადამყვანები“ არიან ჩართული.

2017 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გამყოფ ხაზზე დახლოებით 1000 ადამიანი დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, საუბარია ორივე მიმართულებით მოძრაობაზე. „და ეს მაშინ, როცა ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, 2016 წელს ამ რიცხვმა 3000 შეადგინა. ეს მაგალითია იმისა, როგორ ხდება ადამიანთა გადაადგილების შეზღუდვა და დროის გარემოებათა გათვალისწინებით, როგორ მცირდება ადამიანების მცდელობები გადაკვეთონ საოკუპაციო ხაზი, რაც, ცხადია, გამოწვეულია ე.წ. ხელისუფლების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებებით გადასასვლელების დახურვასთან დაკავშირებით“.- მარტის თვეში გამყოფი ხაზის ტერიტორიაზე ადამიანების უკანონოდ დაკავების კიდევ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. 13 მარტს რუსმა სამხედროებმა ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე, ზუგდიდში მცხოვრები გ.ზ. დააკავეს. გალის რაიონის ე.წ. პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა „სახელმწიფო საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის საქმეზე. ქართული მხარის შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან განცხადება გაკეთდა, რომ გ.ზ.-ს დაკავების შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის და მის გასათავისუფლებლად აქტიურად მუშაობენ. Ipn.ge,

აფხაზური მედიის ინფორმაციით, მარტის თვის მეორე ნახევარში ოკუპირებულ აფხაზეთში, ბიჭვინთაში საქართველოს მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული, ფოთში მცხოვრები ი. გ. დააკავეს. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შსს-ს განცხადებით, ი.გ.-მ აფხაზეთის ე.წ. საზღვარი "უკანონოდ" გადაკვეთა. მოგვიანებით დაკავებული გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. Accent.com.ge,

გამყოფი ხაზის კვეთისას იმ ადამიანებს, რომლთაც ე.წ. აფხაზური პასპორტი, საბჭოთა პასპორტი (გალში მიწერით), ბინადრობის უფლება ან ფორმა-9 არ გააჩნიათ, აფხაზი და რუსი „მესაზღვრეები" აკავებენ და გალის ე.წ. მილიციის განყოფილებაში გადაჰყავთ, ჯარიმის გადახდის შემთხვევაში, თუ დაკავებულებს რაიმე სხვა სახის დანაშაული არ აღმოუჩინეს, ათავისუფლებენ და უკან აბრუნებენ, მაგრამ ვინც ჯარიმის გადახდაზე უარს იტყვის, მის წინააღმდეგ ე.წ. საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით საქმეს აღძრავენ. მიმდინარე წლის 22 აპრილს, რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიისა და გალის რაიონის სოფელ ოტობაიის გამყოფ ხაზზე, მდინარე ენგურის ფონთან, „საზღვრის" უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს საქართველოს ორი მოქალაქეზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარის მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული რ. რ. და გალის რაიონის სოფელ ოტობაიიდან დევნილი (ქ. ფოთში დროებით მცხოვრები), 1996 წელს დაბადებული ზ.მ. აღნიშნული პიროვნებები ე.წ. მესაზღვრეებმა გალის მილიციაში გადაიყვანეს. (22.04.18). მაისის თვეში რუსმა "მესაზღვრეებმა" გალის რაიონში დააკავეს ქუთაისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ა.ნ. ამის შესახებ ინფორმაცია აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტრომ გაავრცელა. ა.ნ. ე.წ. სამართალდამცავებმა წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს და მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, რომ მომხდარზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ინფორმირებული არიან. (19.05.18) მსგავსი შემთხვევები ყოველდღიურად ხდება, თუმცა იმის გამო, რომ მათი

აღრიცხვა არ მიმდინარეობს, ადამიანის უფლებათა დარღვევის ბევრი მსგავსი შემთხვევა დაუფიქსირებელი რჩება. გამყოფ ხაზზე ადამიანთა გადაადგილებას აფერხებს, ასევე, ე.წ. გამშვებ პუნქტზე შექმნილი დიდი რიგები, რაც ადგილობრივებს სეპარატისტული და საოკუპაციო რეჟიმების მიერ ხელოვნურად შექმნილად მიაჩნიათ, კერძოდ, ერთ ერთი ვერსიით, ე.წ. დოკუმენტების შემოწმების გაჭიანურების მიზეზია რუს და აფხაზ „მესაზღვრეებს“ შორის არსებული ფარული შეთანხმება. რუსი სამხედროები დოკუმენტების შემოწმებას აჭიანურებენ, ამ დროს კი რიგში დგომისგან გაწამებულ ადამიანებთან „დასახმარებლად“ მიდიან აფხაზი „მესაზღვრეები “ და გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ გამყოფ ხაზზე გადაყვანას სთავაზობენ. აფხაზური მხარე ხშირად აღნიშნავს, რომ ადამიანთა მიერ „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევებმა იკლო, თუმცა ექსპერტების აზრით, შემთხვევების შემცირება არ ნიშნავს პრობლემის არარსებობას. ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი თავს არიდებს გამყოფი ხაზის გადაკვეთას და თავიანთ სახლებში მისვლას, რადგანაც ისინი აფხაზ და რუს ძალოვანებთან ურთიერთობას, - ჯარიმების გადახდას და უარეს შემთხვევაში დაპატიმრებას ერიდებიან.

გავეცნოთ მოკლე ინტერვიუებს მოსახლეობასთან, სახალხლო დამცველის აპარატიდან, აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ექსპერტების შეფასებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

ინტერვიუ: ენგურის ხიდი, 2018 წელი, მოქალაქე ი.ნ - „ხშირად მესაზღვრეების ხასიათის მიხედვით დავდივართ. უნდა გამოგიშვებს უნდა არაა. ამას წინათ უსიამოვნება შემემთხვა. არ გამომიშვეს საზღვარზე მაშინ როცა ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. სამკურნალოდ გადმოვდიოდი, მაგრამ არ მატარებდნენ.. ბოლო საუბრით, რომ ვერაფერს გამოვრჩი, თანხა გადაუხადეე და ამით მოგვარდა პრობლემა. ეს ყველაზე ადვილია აქ, მაგრამ სადაა სულ ასეთი გადასახდელი, ჰაერში გატყორცნილი თანხა?“

ინტერვიუ: ენგურის ხიდი, 2019 წელი, მოქალაქე მ.კ - „პრობლემები გვექნება მაშინაც კი როდესაც სახეზეც გეტყობა, რომ სამკურნალოდ მიდიხარ. საათობით არის ხოლმე რიგები,ხან ე.წ მესაზღვრის ხასიათის მიხედვით გვიწევს გადმოსვლა. აქ რომ დარჩე მოკვდები, საშინელი მდგომარეობაა ფაქტიურად ექიმები არ არიან, არც შესაბამისი აღჭურვილობაა. ყველაზე აქტიურად ამ პროგრამას ვიყენებთ როგორც ქართველები ისე აფხაზები, მაგრამ საზღვარზე გადმოსვლა ძალიან დიდი პრობლემაა. წელს ძალიან ხშირად იყო ჩაკეტილი საზღვარი. გაუსაძლისია ჩემნაირი ავადმყოფისთვის ასეთი მდგომარეობა, მაგრამ რა ვქნათ. არ ვიცი როდის დალაგდება ეს ყველაფერი, ხან რის იმედზე ვართ, ხან რისი, მაგრამ წლებია გამოსავალი არ ჩანს. მე და ჩემი მეუღლე ერთად ვცხოვრობთ ბავშვები სასწავლებლად არიან თბილისში წასულები და ხშირადაც ვეღარ ჩამოდიან.“

ასეთი ფაქტები ყოველდღიურად ხდება, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთეული შემთხვევები ხმაურდება. ისევე როგორც წინა პერიოდში, ადამიანები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ენგურის ე.წ. საკონტროლო გამშვებ პუნქტზე არსებული უზარმაზარი რიგების გამო, რაც ადგილობრივების თქმით, ხელოვნურად არის შექმნილი. ამაზე მიუთითებს ე.წ. „გადამყვანების" გააქტიურება, რომლებიც, მათი თქმით, რუს მებაჟეებთან შეთანხმებულად მოქმედებენ. „გადამყვანები" რიგში დგომისგან გაწამებულ ადამიანებს გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ (20 ლარამდე) მებაჟეების გვერდის ავლით სთავაზობენ გამყოფ ხაზზე გადაყვანას. მ.წ. 18 ივლისს გალის ე.წ. მილიციის თანამშრომლებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ზ.ხ. ე.წ. საზღვარზე ადამიანების „არალეგალურად„ გადაყვანის გამო დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ხალვაში მეორე დღეს, საღამოს საათებში გაათავისუფლეს. ე.წ. მილიციის ხელმძღვანელობამ ის მკაცრად გაფრთხილა, რომ მომავალში ე.წ. ენგურის საზღვარზე „მოქალაქეთა არალეგალური გადაყვანის" შემთხვევაში მის მიმართ მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ზომები იქნება მიღებული.

(20.07.18) მ.წ. 5 აგვისტოს რუსმა „მესაზღვრეება" გულრიფშის რაიონის სოფელ საკენთან ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით აფხაზეთიდან დევნილი, 52 წლის ზ. გ. დააკავეს. ზ.გ.-ს სახლი სოხუმში ომის დროს დაიწვა. სოხუმის დაცემის შემდეგ ზ.გ.-ს ოჯახი სამშვიდობოსკენ საკენ-ჭუბერის გზის გავლით გაემართა. ისინი დღემდე სოფელ ჭუბერში ცხოვრობენ. მათი ნათესავები კი სოფელ აჟარაში დარჩნენ. სწორედ პერიოდულად მათთან ჩადიოდა დაკავებული ზ. გ. (08.08.18) მ.წ. აგვისტოს ბოლოს საოკუპაციო ძალამ ენგურის ხიდზე მიკროავტობუსებს აფხაზურ საგუშაგომდე მისვლა აკრძალა. თუ აქამდე მიკროავტობუსებს ხალხი გამყოფ ხაზამდე მიჰყავდა, ახლა მათ მხოლოდ ხიდის ნახევრამდე შეუძლიათ მისვლა. ამასთან, ნახევარ წელზე მეტია ხიდზე მოძრაობა შეწყვიტეს ოთხთვალებმაც, რომლებსაც, ადამიანები ბლოკპოსტამდე მიჰყავდა. (DFWATCH, 28.08.18)

ამავე პერიოდში აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ირაკლი ტუჟბამ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ადამიანებს „საქართველო-აფხაზეთის საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთისკენ აქეზებს. „ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების მიერ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის რაოდენობა გაიზარდა. როგორც ჩანს, ამგვარ პრაქტიკას საქართველოს ხელისუფლება აქეზებს, რომელიც სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მიზეზით საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტებს პროპაგანდისტური მიზნებისათვის იყენებს, აფხაზურმა მხარემ, ჟენევის დისკუსიების ფარგლებში, არაერთხელ გააფრთხილა ქართული მხარე საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დაუშვებლობაზე. - განაცხადა ირაკლი ტუჟბამ.

2018 წელს (ოქტომბერში) აფხაზური გამოცემის „აფსნი ლაიფის“ ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ სიდის მცხოვრები ე.წ. „აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე“ დააკავეს. მას ბრალად ედება სიგარეტის უკანონოდ გადმოტანის მცდელობაში. ინტერნეტ გამოცემის მონაცემებით „აფხაზეთის

მოქალაქე“ „საზღვრისკენ“ პროდუქციის შემდგომი რეალიზაციის მიზნით გამოემართა. ის ოკუპირებულ ნაბაკევში დააკავეს. (12.10.18) ამავე პერიოდში აფხაზურმა მხარემ ორთვიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლა მ.წ.

5 აგვისტოს „ საზღვრის“ უკანონო ბრალდებით დაკავებულია ზ. გ. ზ. გ.-ს სახლი ქ. სოხუმში ომის დროს დაიწვა. ის და მისი ოჯახის წევრები სოხუმის დაცემის შემდეგ სამშვიდობოსკენ საკენ-ჭუბერის გზით გაემართნენ და მას შემდეგ სოფელ ჭუბერში ცხოვრობენ. მათი ნათესავები დღესაც აფხაზეთის სოფელ აჟარაში იმყოფებიან, ზ. გ. სწორედ მათთან ჩადიოდა, პერიოდულად. (04.10.18)

კვლავ საგანგაშოა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სიცოცხლის უფლების უკანონო ხელყოფის ფაქტები. 2014 წელს დავით ბაშარულის, 2016 წელს გიგა ოთხოზორიას, 2018 წელს არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს - ოკუპირებული აფხაზეთის, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის რუსულ სამხედრო ბაზაზე, საქართველოს მოქალაქის, ირაკლი კვარაცხელიას სიცოცხლის უფლების დარღვევა. ყველა ამ მკვლელობაში უშუალო მონაწილეეები საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები არიან და არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე არ დასჯილან.

საგანგაშოა 2019 წელს ასე ხანგრძლივი დროით გამშვები პუნქტის ჩაკეტვა. საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება, ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა იყო. დე ფაქტო ორგანოებისა და რუსეთის სასაზღვრო ძალების დადგენილი ფორმალური რეჟიმი, ხელოვნური მიზეზების დასახელებით, ზღუდავს ადგილობრივ მკვიდრთა გადაადგილებას, პერიოდულად სრულადაც იკეტება გამშვები პუნქტები.

საქართველოს ტერიტორიაზე გრიპის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით ჩაიკეტა ე.წ. გამშვები პუნქტი. გამონაკლისი დაწესდა მხოლოდ პაციენტებზე, რომელთაც ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების ცნობა ჰქონდათ სამედიცინო საჭიროებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, ივნისში, დე ფაქტო მთავრობის მიერ ხელოვნურად შექმნილი შეზღუდვების გამო, სრულად

ჩაიკეტა ენგურის ხიდი, რამაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტები დააზარალა. მათ, ვისაც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სურდა უმაღლესი განათლების მიღება, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ვერ მიიღეს მონაწილეობა. მოგვიანებით, ენგურის ხიდზე გადაადგილება აღდგა, თუმცა გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. მამაკაცების გადაადგილება დაშვებული იყო მხოლოდ 14 წლამდე და 60 წელს ზემოთ, დანარჩენი ასაკის მამაკაცებისთვის გადაადგილება სრულად აიკრძალა. შეზღუდვა არ გავრცელებულა ქალებზე. სახალხო დამცველის ინფორმაციით, 5000 რუსული რუბლის ქრთამის გადახდის შემთხვევაში, რაც დაახლოებით 225 ლარს შეადგენს, მსგავსი ტიპის შეზღუდვები არ მოქმედებს.მსგავსი მოქმედებები ჯანდაცვის, განათლების უფლებით სარგებლობაზე, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე მოქმედებს. დაწესებული შეზღუდვების შედეგად, შესაძლოა, ოკუპირებული გალისა რაიონში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ეტაპობრივად დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი სახლები, რაც ეთნიკურ წმენდას გამოიწვევს.

ინტერვიუ: მოქალაქე ი.ა (თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული, 64 წლის) „ძალიან ხშირად მიწევს ჩამოსვლა სავალდებულო და არასავალდებულო მიზეზებით. უბრალოდ გადასვლა რომ მომინდეს ესეც ხომ არაა დანაშაული, მაგრამ სადაა.. ასეთი ცხოვრება არაა. ყველაზე კარგად და აქტიურად ჯანდაცვის პროგრამას ვიყენებ, სამკურნალოდ ჩამოვიდივართ მე და ჩემი მეუღლე. ძალიან დაგვეხმარა ეს პროგრამა, მაგრამ რთულია გადმოვლა. ზოგჯერ ისე გვიჭირს ხან ჩაკეტილები ვართ და ვერ გადავდივართ. არც ფული გვაქვს , რომ გადავიხადოთ. აქ მარტივად მოაგვარებ საქმეს, თუ არაკანონიერად თანხას გადაიხდი. ჩვენსავით ბევრია. წელს ძალიან ბევრჯერ ჩაიკეტა საღზვარი. ერთხელ შვილიშვილი ჩამოვიდა და ისიც ჩარჩა ვერ მოახერხა დაბრუნება მშობლებთან. შიშით ბავშვი აღარ ჩამოდის. აქ ვერ

გაიგებ რა იქნება ხვალ, სიტუაცია ყოველთვის არასტაბილურია... რაც შეეხება დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ ეტაპზე ე.წ. გამშვებ პუნქტებზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი დოკუმენტებით: 1) ე.წ. ფორმა №9; 2) დე ფაქტო პასპორტი; 3) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 4) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობით; 5) გადაადგილება ასევე დასაშვებია ქართული პასპორტით, იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე. წ. ვიზა).ბინადრობის მოწმობის აღება განსაკუთრებით უჭირთ სტუდენტებს, რადგან ადგილობრივი ადმინისტრაცია არ გასცემს მათი რაიონში ცხოვრების დამადასტურებელ ცნობას. შესაბამისად, მათ საკუთარ სახლში დაბრუნება ე.წ. ვიზით უწევთ, რომელიც გარკვეული პერიოდით არის „ჩარტყმული“.

2018-2019-2020 წლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ერთ–ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად, საოკუპაციო ხაზზე მოქალაქეთა უკანონო დაკავებებთან ერთად, რჩება პატიმართა ცემა, არასათანადო მოპყრობა და წამება დროებით იზოლატორებსა თუ საპყრობილეებში.

2018 წელს პრობლემად რჩება გალის მოსახლეობისთვის დოკუმენტაციის საკითხი.2017 წლამდე , რაიონში დაახლოებით 12 000 პირი ფლობდა ე.წ ფორმა #9-ს, 200 მდე პირი მოქმედ ე.წ აფხაზურს პასპორტს,26 000 პირი კი - 2014 წელს გაუქმებულ , ე.წ ძველ აფხაზურს პასპორტს, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ენგურის ხიდზე გადაადგილება შეეძლო. 2017 წლიდან უფრო დამძიმდა მდგომარეობა , როდესაც ძველი აფხაზური პასპორტების ხმარებიდან ამოღების, ხოლო ფორმა #9 ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო. გალელების დიდი ნაწილი მკაცრად ეწინააღმდეგება ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს.

2018 წლის ნოემბრის დასასწყისში აფხაზურმა მხარემ, ე.წ. “ვიდ ნა ჟიტელსტვოს” (ბინადრობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა) გაცემა დროებით შეაჩერა. როგორც სააგენტო DFWatch-ს ადგილობრივებმა უთხრეს, ამის

მიზეზად ე.წ. ადმინისტრაციის წარმომადგენლები „საბეჭდი მანქანის საღებავის ამოწურვას“ ასახელებენ. ადგილობრივების თქმით, საღებავის არქონის მომიზეზება, ისევე როგორც მანამდე არსებული სხვა მეთოდები, სეპარატისტული სტრუქტურების მხრიდან ადამიანებისთვის ფულის გამოძალვის კიდევ ერთი ხრიკია და სხვა არაფერი. “როგორ შეიძლება “სახელმწიფოებრიობის“ ამბიცია გქონდეს და მსგავსი მიზეზით საბუთი არ გასცე. მორიგი ხრიკი მოიგონეს ფულის გამოძალვისთვის, ხალხი კი, რა თქმა უნდა, იძულებულია ყველაფერს დათანხმდეს,” – ამბობს 30 წლის გ.ს. აღსანიშნავია, რომ ბინადრობის უფლების აღება ეთნიკურად ქართველებს 500 ლარამდე უჯდებათ. აფხაზურმა მხარემ უკვე გააუქმა ე.წ. წითელი პასპორტები, ახალი წლის შემდეგ კი ქართველებზე გაცემული მწვანე (აფხაზური) პასპორტების გაუქმებასაც ელოდებიან. რაც შეხება ფორმა-9-ს მისი აღება 2000 რუსული რუბლი ჯდება (დაახლოებით 83 ლარი).

ამავე პერიოდში აფხაზურმა მხარემ გამოაქვეყნა 2016 წლიდან დღემდე ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტისა და ბინადრობის უფლების გაცემის სტატისტიკა, რომლის თანახმად ირკვევა, რომ ორი წლის განმავლობაში გალის რაიონში 260 აფხაზური პასპორტი და 4528 „ბინადრობის უფლება“ გაიცა. ადგილობრივი მედიის ცნობით, აფხაზეთში დაახლოებით 140 ათას ადამიანს აქვს აღებული „აფხაზური პასპორტი“. გალის რაიონის მცხოვრებთა დოკუმენტაციის პროცესსა და მისი გაჭიანურების მიზეზებზე gal.tv-ის ეთერში ისაუბრა ე.წ. საპასპორტო განყოფილების გამგემ თემურ მინაიამ. „გალის რაიონში მცხოვრებთა დოკუმენტაცია სტაბილურად, მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში - 2016 წლის მაისის თვიდან დღემდე აფხაზეთის მოქალაქის პასპორტზე შემოვიდა 1270 განაცხადი, მათგან გაცემულია 269 დოკუმენტი. პასპორტის გაცემაზე უარი ეთქვა 586 ადამიანს, „ბინადრობის უფლებაზე“ შემოვიდა 10 332 განაცხადი, აქედან გაცემულია 4 528 „ბინადრობის უფლების“ ბლანკი, გასაცემად გამზადებულია 190 ბლანკი. 700 ბლანკი მუშავდება.“ - აღნიშნა მინაიამ. მისი თქმით, „ბინადრობის

უფლების“ ბლანკი 940 რუბლი ღირს, აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის ბლანკი კი 420 რუბლი. მან ასევე განმარტა დოკუმენტების გაცემაში არსებული შეფერხებების მიზეზი და აღნიშნა, რომ ეს უკავშირდება სამუშაოს დიდ მოცულობას და სპეცსამსახურების მიერ განაცხადებისა და თანდართული მასალების შემოწმებას. Galtv, 10.11.18 გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინფორმაცია გავრცელდა, რომ პირველი ნოემბრიდან დეკემბრის ჩათვლით პენსიონერთა რეგისტრაცია ჩატარდება. როგორც სააგენტო DFWatch-ს ადგილობრივებმა აცნობეს, რეგისტრაციის გავლა მხოლოდ იმ კატეგორიას შეეძლება, ვისაც აფხაზური პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა აქვს აღებული. მათივე ცნობით, პენსიონერების უმეტესობას წითელი პასპორტი ჰქონდა (რაც ამჟამად უმოქმედოა), შესაბამისად, მათ ზემოთხსენებული ორი საბუთი არ გააჩნიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი აფხაზურ პენსიას ვერ აიღებენ. „ე.წ. წითელი პასპორტები რამდენიმე თვეა გაუქმდა, შესაბამისად, ვისაც მხოლოდ ეს საბუთი გვქონდა, ახლა გადაადგილებასაც ვერ ვახერხებთ. აქ ვართ გამოკეტილი და ექიმი რომ დაგვჭირდეს, „საზღვარზე“ არავინ გაგვატარებს. ე.წ. ვიდ ნა ჟიტელსტვას აღებას იმდენი საბუთი უნდა, ჩვენი თაობის ხალხმა ძნელად თუ მოაგროვოს ყველა მათგანი. ახლა პენსიონერთა რეგისტრაცია იწყება და ვისაც წითელი პასპორტები გვქონდა, პენსიას მოგვიხსნიან,“ – უთხრა DFWatch-ს გალის რაიონის სოფელ თაგილონის მკვიდრმა, პენსიონერმა ნ.ტ.-მ. როგორც ცნობილია, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, საწყისი პენსია თვეში 150 რუბლია, რაც დაახლოებით 6,5 ლარს შეადგენს. შრომის წიგნაკის არსებობის შემთხვევაში პენსია 500 რუბლამდე იზრდება, რაც თვეში 22 ლარია. შედარებით მაღალია პენსია აქვთ იმ პირებს, ვინც მხოლოდ აფხაზურ პენსიას იღებს. რაც შეეხება რუსული პასპორტის მქონეებს, ისინი გაცილებით პრივილეგირებულ ფენას მიეკუთვნებიან და მათი პენსია თვეში 5000 რუბლს (205 ლარი) შეადგენს, თუმცა მსგავსი საბუთი გალის რაიონში სულ რამდენიმე ადამიანს გააჩნია. (DFWatch, 31.10.18)

2018 წლის 19 ივნისს აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროს საპასპორტო სამმართველოს უფროსმა ედუარდ მანარგიამ განაცხადა, რომ ახალი ნიმუშის აფხაზური პასპორტი 70 ათასზე მეტმა ადამიანმა უკვე აიღო. მან ასევე აღნიშნა, რომ პასპორტიზაციის პროცესი 2018 წლის ბოლოსათვის ვერ დასრულდება და ის მომავალ წელსაც გაგრძელდება. მისი თქმით, გალის რაიონში ახალი ნიმუშის აფხაზური პასპორტი 198 ადამიანმა აიღო. ცხადია, რომ რაიონისთვის, სადაც ყველაზე ნაკლები. 30 ათასი ადამიანი მაინც ცხოვრობს, დასახელებული რიცხვი მიზერულია და აშკარად მიუთითებს ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციულ მდგომარეობაზე. აფხაზურმა ე.წ. ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ მაქსიმუმი რისი შეთავაზებაც მას გალის მოსახლეობისთვის შეუძლია, არის ე.წ. „ბინადრობის უფლება“, რადგანაც გალის რაიონის მოსახლეობის თითქმის 98 პროცენტი საქართველოს მოქალაქეა. აფხაზური „კანონების“ თანახმად კი ორმაგი მოქალაქეობა აფხაზეთს მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან აქვს, ამიტომ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მხოლოდ ე.წ. „ბინადრობის უფლების“ აღების შანსი ეძლევათ. მ.წ. ივნისის დასაწყისში აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელმა დავით სანგულიამ აღნიშნა, რომ პასპორტის ასაღებად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის ახალ რედაქციაში მითითებული იქნება, რომ საქართველოსთან „საზღვრის“ გადაკვეთა ამიერიდან შესაძლებელია არა მხოლოდ აფხაზური პასპორტით, არამედ „ბინადრობის მოწმობითაც“. მ.წ. 25 ივნისს გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თემურ ნადარაიამ გალის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ „ბინადრობის მოწმობის“ აღებაზე რაიონში 7784 განცხადებაა შეტანილი. დღეისათვის გალის რაიონში მხოლოდ 500 ადამიანს გააჩნია ე.წ. აფხაზური პასპორტი. ამ დოკუმენტის მფლობელს არ შეეძლება უძრავი ქონების შეძენა ან განკარგვა, ეზღუდება საარჩევნო უფლებები- აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი, რომელიც

საქართველოს მოქალაქეობაზე უარს არ იტყვის, მდგმურის სტატუსით იცხოვრებს საკუთარ სახლში. ამასთან, საკუთარ ქონებას მემკვიდრეობით ვერ გადასცემს თავის შთამომავლობას, შვილებს, შვილიშვილებს, რადგანაც ისინიც საქართველოს მოქალაქეები არიან და მათი დიდი უმეტესობა ენგურს აქეთ ცხოვრობს. მათ მხოლოდ სტუმრის და „უცხო ქვეყნის“ მოქალაქის სტატუსით შეეძლებათ აფხაზეთში ე.წ. ვიზით ჩასვლა, ისიც მკაცრად განსაზღვრული პერიოდით- 10 დღით, 1 თვით, რაც ფულად თანხებთან არის დაკავშირებული. ქონების განკარგვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გალის მოსახლეობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ ეთნიკური ქართველების „ბინადრობის უფლებაზე“ გადაყვანით ე.წ. აფხაზური ხელისუფლება კიდევ უფრო აღრმავებს გალის მოსახლეობის დისკრიმინაციას და მათ „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებად აღიარებს. ამასთან, ე.წ. აფხაზური ხელისუფლება „ეძებს“ გზებსა და საშუალებებს გალის რაიონის ქართული მოსახლეობის აფხაზურ საზოგადოებაში „ინტეგრაციისთვის“. გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის და საზოგადოებრივი მოძრაობა „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭოს“ წარმომადგენლები გალელებს პასპორტიზაციაში შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალს სთავაზობენ და გვარებისა და ეროვნების შეცვლისკენ მოუწოდებენ. უფრო მეტიც, ე.წ. აფხაზური ხელისუფლება თავისი ემისრების მეშვეობით პროპაგანდას ეწევა, რომ გალის რაიონის, ძველი სამურზაყანოს მოსახლეობის 98 პროცენტი აფხაზური წარმომავლობისაა, ამიტომ ვინც თავის ეროვნებას დაიბრუნებს და აფხაზად ჩაეწერება, დაუყოვნებლივ მიიღებს აფხაზურ პასპორტს. ამ პროპაგანდის გავლენით, შარშან გალის დაარსების 85 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის დღეს „ სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭოს“ ხელმძღვნელობამ განაცხადა, რომ გალში უკვე 31-მა ადამიანმა გაიხსენა თავისი „ჭეშმარიტი“ წარმომავლობა და აფხაზად ჩაეწერა. ამ ადამიანების გვარები საზეიმო ღონისძიებაზე საჯაროდ დაასახელეს. ბოლო ხანებში ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გალის რაიონის ე.წ. აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლები

და სკოლების ხელმძღვანელობა მოსახლეობას თავიანთი შვილების აფხაზად ჩაწერისკენ მოუწოდებენ. ადგილობრივების თქმით, სკოლის დირექტორები მშობლებს არწმუნებენ, რომ ბავშვების აფხაზად ჩაწერის შემთხვევაში, მათ სკოლის დამთავრების შემდეგ ყოველმხრივ დაეხმარებიან სწავლის გაგრძელებაში, როგორც აფხაზეთში, ასევე რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, აფხაზური ე.წ. ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქართულ მოსახლეობას ჰპირდებიან, რომ ეროვნების შეცვლის შემთხვევაში მათ შვილებს სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებითაც უზრუნველყოფენ. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 2011 წლის 2 ნოემბერს აფხაზურ საინფორმაციო სააგენტო "აპსნიპრესზე" გამოქვეყნდა სტატია „Жители Галского района должны интегрироваться в абхазское общество, - считают старейшины республики", სადაც ნათქვამია, რომ აფხაზურ ე.წ. პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალური რესურსების" ინიციატივით შეხვედრა მოეწყო აფხაზეთის რაიონების უხუცესებთან. 3 არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ციზა გუმბამ მათ, გალის რაიონის მოსახლეობისათვის „თავიანთი ჭეშმარიტი წარმომავლობისა და ფესვების შეხსენებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა". სწორედ ამ თემის გაგრძელებას წარმოადგენს 2014 წელს გალში „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო"-ს შექმნა, რომლის წარმომადგნელებიც აქტიურად ეწევიან გვარებისა და ეროვნების შეცვლის პროპაგანდას გალის მოსახლეობაში, რომელიც მიუხედავად აფხაზური ე.წ. ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა, ამ სატყუარაზე წამოგებას არ აპირებს და ეს დაამტკიცა კიდეც იმით, რომ 2015 წელს, როცა გალის ე.წ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კარდაკარ შემოიარეს გალის რაიონის სოფლები იმის გამოსარკვევად, თუ ვინ აღიარებდა საქართველოს მოქალაქეობას, გალის რაიონის მოსახლოების 98 პროცენტმა მათ ქართული პირადობის მოწმობები აჩვენა იმის დასტურად, რომ ისინი არ აპირებენ

საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას და საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრციდან გასვლას.

2.2.ქართულ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა

სეპარატისტული რეჟიმი გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვასთან ერთად ყოველმხრივ ცდილობს გააძლიეროს აფხაზური ენის სწავლება. ამ მიზნით, გალის დაბალი ზონის სკოლებში სოხუმიდან აფხაზი პედაგოგები მოავლინეს. რაიონულმა ადმინისტრაციამ აფხაზური ენის პედაგოგებს ბინები გალში დაუქირავა. გავრცელებული ინფორმაციით, გარდა აფხაზური ენის „გაძლიერებული სწავლებისა, სოხუმიდან გალში გამოგზავნილ მასწავლებელებს ადგილობრივ სკოლებში მიმდინარე პროცესებზე თვალყურის დევნებაც ევალებათ. აფხაზური რეჟიმის მიერ შემოღებული დისკრიმინაციული „კანონების“ შედეგად გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის 99 % ქართულენოვანია, ფაქტობრივად აკრძალულია მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, აქ წლების განმავლობაში მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული სკოლების გაუქმებისა და ქართული ენის საათების შემცირების პროცესი. ამ სურათის უფრო ნათლად წარმოსადგენად უნდა აღინიშნოს, რომ ომამდე გალის რაიონში არსებული 58 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან მხოლოდ ორი იყო რუსული, დანარჩენ სკოლებში სწავლება ქართულად მიმდინარეობდა. გასული წლის დასაწყისში გალის რაიონში 31 სკოლა იყო დარჩენილი, აქედან 20 ქართული სკოლა იძულებითი წესით რუსულ სწავლებაზე გადაიყვანეს, ხოლო 2017 წლის სექტემბრიდან დანარჩენი 11 სკოლაც ეტაპობრივად გადაჰყავდათ რუსულენოვან სწავლებაზე მილევადი პროგრამით.. გალის რაიონში სკოლების შემცირების პროცესი გრძელდება. გასული წლის ბოლოს აქ კიდევ ერთი სკოლა - თაგილონის საბაზისო სკოლა დაიხურა. ამჟამად გალში 30 სკოლა მოქმედებს, თუმცა გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზური რეჟიმი კიდევ 7 სკოლის გასაუქმებლად ემზადება, სააგენტო

DFwatch.net-ს ინფორმაციით, ამის თაობაზე ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გასული წლის მიწურულს თაგილონის სკოლის დახურვის პრეცენდენტს, აფახზური რეჟიმისგან ასეთი ნაბიჯ ების გადადგმა გამორიცხული არ არის. "ეს ფაქტობრივად ისედაც დაცლილი სოფლების სულ მთლად დაცლას ნიშნავს," – უთხრა DFWatch-ს გალის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა. დღეისათვის მთლიანობაში გალის რაიონის ტერიტორიაზე 30 სკოლაა[4], სადაც 4315 მოსწავლე სწავლობს. საუბარია, ასევე, გალის რაიონში ქართველი სკოლის დირექტორების აფხაზებით ჩანაცვლებაზეც. როგორც ადგილობრივები ამბობენ, პროცესი უკვე დაწყებულია. მიმდინარე წელს სოფელ ბარღების ეთნიკურად ქართველი სკოლის დირექტორი გაანთავისუფლეს და მის ნაცვლად აფხაზი ეროვნების პედაგოგი დანიშნეს. ადგილობრივი პედაგოგების თქმით, აქტიურად განიხილება სხვა შედარებით მაღალკონტიგენტიანი სკოლების დირექტორების 4 განთავისუფლების საკითხიც, რასაც აფხაზეთის განათლების სამინისტროს რესურსცენტრშიც ადასტურებენ. გალის რაიონში მოქმედ სკოლებში ქართული ენის დევნისა და მისი მოხმარების არეალის თითქმის ნულამდე დაყვანის პროცესი ყოველდღიურად გრძელდება და ამის თვალსაჩინო მაგალითია მ.წ. მაისის დასასრულს სასწავლო პროცესის დასრულებასთან დაკავშირებით გალის სკოლებში გამართული საზეიმო ღონისძიებები, რომლებიც მხოლოდ რუსულ ენაზე ტარდებოდა და ქართველ ბავშვებს საშუალება არ ჰქონდათ ქართულ ენაზე ლექსი წაეკითხათ ან ემღერათ, რადგან ეს მათ ეკრძალებათ. ის რაც ხდება გალის სკოლებსა და, ზოგადად, ოკუპირებულ აფხაზეთში, დაუშვებელია და არ შეესაბამება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. სწორედ ამიტომ არ სურს მას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების დაშვება გალის სკოლებში, რათა უცხოელმა ექსპერტებმა თავიანთ ანგარიშებსა და მოხსენებებში არ ასახონ ის აუტანელი ვითარება, რომელშიც დღეისათვის უხდება ცხოვრება გალის

[4]აფხაზეთის ა.რ მთავრობა (ანალიტიკის ცენრი)

მოსახლეობას, მათ შორის, მოსწავლეებს, რომელთა უფლებები მშობლიურ ენაზე სწავლასთან დაკავშირებით აშკარად ირღვევა.

ინტერვიუ: გალში, ერთ-ერთ სკოლაში მომუშავე ქალბატონთან, რომელიც წლების განმავლობაში ისტორიას ასწავლიდა და დღესაც ასწავლი. მოგვიყვება მდგომარეობაზე, რა პირობებში უწევთ ყოფნა ... ნ.დ (52 წლის) „ახლა ყველაფერი სხვანაირადაა...ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ აქ ისტორიას გაყალბებულად ასწავლიან. ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ გარდა ერთისა, რომ ჩუმად ვუთხრათ ჩვენს გალელ ბავშვებს , ეს ასე არ ყოფილა ბავშვებო ეს ყალბი ისტორიაა რაც აქ წერია... მე პირადად სახლში, ჩუმად ვამზადებ მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. გამოცდის სპეციფიკა სხვანაირა. მათ შესაბამისი მომზადება სჭირდებათ, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ძვირი ჯდება. ხშირად მეტირება, რომ ამ მდგომარეობაში ვართ.. ძალიან მტკივა გული, ენით აღუწერელია ის წინააღმდეგობები რასაც ჩვენ ყოველ წამიერად ვაწყდებით. მარტო ერთს ვფიქრობ, რომ ბოლომდე შევასრულო ჩემი მისია. უმაღლესში ჩარიცხული მომავალი სტუდენტები არიან ჩვენი იმედები... ეროვნულ გამოცდებზე არებული უმაღლესი ქულები არის ამ ეტაპზე ჩვენი მცირედი, მაგრამ ვიმედოვნებ დიდი გამარჯვება ... იმედს არ ვკარგავ და აქ ჩვენს თანამემამულეებს ამას მუდამ ვეუბნები, აუცილებლად შეიცვლება ყველფერი..

მათი თქმით, აფხაზური რეჟიმის წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ გალის რაიონის სკოლების ნაწილში ქართულად სწავლება ფარულად მიმდინარეობს.

„რამდენიმე დღის წინ ღია კარის დღე გვქონდა. შემოწმებაზე 50-მდე სტუმარი მოვიდა. გაკვეთილებს დაესწრენ. კლასში, სადაც სულ 6 მოსწავლეა, 12 დამსწრე იმყოფებოდა. მსგავსი ღია კარის დღეები ყოველ წელს ტარდებოდა, თუმცა ამხელა დელეგაციით არასდროს მოსულან. გარდა ამისა, უკვე სისტემატიური სახე მიიღო სკოლებში მოულოდნელმა ვიზიტებმა. ნებისმიერ დროს შეიძლება გალის ადმინისტრაციიდან მოსულმა კონტროლიორმა შემოაღოს კარი“, – ამბობს გალის

სკოლის მასწავლებელი. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ მსგავსი სახის ვიზიტები ქართულად სწავლების სრულ ამოძირკვას ემსახურება.

ინტერვიუ: თ.ზ - მასწავლებლებს ხშირად გვიტარდება ატესტაციები, რა დონეზე ვიცით რუსული ენა. ამის გადასამოწმებლად ჩაგვიტარდა ნოემბრის შუა რიცხვებში გამოცდები.

სწრაფად მიმდინარეობს რუსიფიკაციის პროცესი. რუსულად გადაკეთებულ ქართულ სკოლებთან ერთად არის გალში გამოკრული რუსული ბანერები და რეკლამები, სკოლიდან მომავალი ბავშვების რუსულად ლაპარაკი, სკოლებსა და კულტურის სახლში ჩატარებული ღონისძიებები, სადაც რუსული დომინირებს, ქართული კი აკრძალულია. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. განათლების სამინისტრო და ადგილობრივი განათლების განყოფილება ყველანაირად ცდილობენ რუსიფიკაციის პროცესის განუხრელად გატარებას.

ინტერვიუ: დ.ბ - დეკემბრის დასაწყისში ჩვენს სკოლაში რუსული წიგნები შემოიტანეს. წიგენი გალის ე.წ ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნაირა ამალიან დაარიგა.ქართულად სწავლება, რუსულად სწავლებამ ჩაანაცვლა.ძალიან მძიმეა ამ ყველაფრის დაძლევა. მოსწავლეები მძიმე მდგომარეობაში არიან და ბუნებრივია, ჩვენ მათთან ერთად...დღითიდღე მცირდება გალის რაიონის სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა. ადგილობრივი ახალგაზრდები ცდილობენ სიდუხჭირეს და სიღატაკეს უცხოეთში წასვლით გაექცნენ. დანარჩენები კი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან და ცდილობენ შვილები შიმშილისგან იხსნან. ეს პროცესები კი ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე ახალგაზრდებისა და ბავშვების მკვეთრად შემცირებას იწვევს.

ინტერვიუ: მასწავლებელი, ი.ჭ - ყველა პროცესებთან ერთად რაც თქვენთვის ცნობილია, მინდა ცალკე გამოვყო ის ტაში-ტუში ზეიმები რაც ჩვენი მასწავლებლების, მშობლებისა თუ სხვა ოჯახის წევრების ნების გარეშე ტარდება. ესაა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბავშვების რუსული სამხედრო სიმღერები.

ესაა სულის ტკივილამდე მწარე..2018 წელში აქტიურად დაიწყო მსგავსი შემთხვევები და დღემდე გრძლელდება.ბავშვები განიცდიან ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, ილახება ადამიანის , მათი განათლებისა და კულტურის უფლებები.

ინტერვიუ: წყნეთი, ბაქსვუდის სკოლა - გალის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე გ.გ - „წლიდან წლამდე სანამ სტუდენტი გავხდები აქ ჩამოსვლას ველოდები. ზუსტად ამ სეზონზე, ამ დროს. ძალიან მიჭირს სკოლაში სიარული, ხშირად მაქვს კონფლიქტი ჩემს თანატოლ აფხაზებთან. ისტორიაზე ვკამათობთ, მაგრამ ამაოდ. ამის გამო სკოლოს დირექტორმა რამდენიმე დღით გამრიცხა. შემდეგ ჩემმა მშობლებმა ბოდიში მოიხადეს და აღმადგინეს. ვამბობდი, რომ ისტორია ყალბია, რომ უნდა ვსწავლობდეთ ქართულ, რომ უფლება გვაქვს არჩევანი გავაკეთოთ რა გვინდა. ვხედავ ამის გამო ჩემს მშობლებს უსიამოვნება აქვთ, ერიდებიან მათთან კონტაქტს და რაც ვიზრდები მით უფრო ჩუმად ვარ. მეშინია მათ გამო. ესეც არაა სწორი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ჩვენ ქართველი ბავშვები მასწავლებლებთან სახლებში ჩუმად დავდივართ. ქართულს, საქართველოს ისტორიას, წიგნებს ვკითხულობთ. მეზობელი მასწავლებელი ხშირად ომამდელ აფხაზეთს იხსენებს. როგორი ურთიერთობა ქონდათ აფხაზებსა და ქართველებს, როგორ მეგობრობდნენ, მეზობლობდნენ და ა.შ. ახლა ახალგაზრდები ძალიან აგრესიულები არია, არაფერს ერიდებიან. ძალიან ბევრს სძულს ქართველები. ჩვენს ჯანდაცვის პროგრამას ბევრი იყენებს, მაგრამ მერე უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ვიყენებთ ამასო, თორემ რათ გვინდა საქართველოო.. ძალიან მძიმეა რეალობა.

წყნეთი, ბაქსვუდის სკოლა, ი.გ. : „თბილისში რაც ჩამოვედი მას შემდეგ ვიცი, რომ ყოველ წელს აუცილებლად უნდა დავბრუნდე. აქ ყველაფერი ისე მეჩვენება როგორც ფილმებშია. გალში არ გვაქვს ასეთი ცხოვრება. მე პირდად რაც წამოვიზარდე იმის მერე სულ დაძაბული ვარ, დისკომფორტში ვარ. ეს ყველაზე მარტივად გადმოსაცემია. ძალიან დიდი პრობლემაა აფხაზი თანატოლების

განწყობა. სხვა დროს მეც პატარა ვიყავი და ვერ ვგრძნობდი, მაგრამ სოციალურ ქსელშიც კი შეგიძლიათ ნახოთ, როგორ იმატა მათი მხრიდან აგრესიამ“.

გალი, მასწავლებელი, ნ.ჩ. : „წლები ვფიქრობდი რა იქნებოდა მას შემდეგ რაც ეს თაობა გაიზრდებოდა და ერთმანეთს თვალებში ჩახედავდა. ახლა ძალიან მეშინია. აფხაზებს აქვთ უამრავი პრობლემა, მაგრამ უჭირთ ამის აღიარება. თან თითქოს ხმასაც იღებენ, მაგრამ თაობა თუ ასეთ აგრესიაში გაიზრდება არ ვიცი სამომავლოდ რა გველოდება. დამოუკიდებლობის იდეაა, მათთვის უფრო მისაღები. წლებია ვერაფერი თუ არაფერი კეთდება. აფხაზეთის ა.რ. მთავრობა ჩუმად გვეხმარება წლებია, მაგრამ ასევე უფრო მატულობს აქაური აკრძალვები, კონტროლი. მატულობს შიში“.

მოსწავლეთა რაოდენობა გალის რაიონის სკოლებში[5]:

2015 – 2016 სასწავლო წელი 4428

2016-2017 სასწავლო წელი 4363

2017-2018 სასწავლო წელი 4267

2018-2019 სასწავლო წელი 4095

აფხაზეთის ომამდე გალის რაიონში 58 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებდა. 1063 ამ საერთო რიცხვიდან, რუსული იყო მხოლოდ ორი სკოლა, 1064 რუსულ-ქართული - სამი, ქართულ-აფხაზური კი, მხოლოდ ერთი. დანარჩენ 52 სკოლაში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლებში ირიცხებოდა 13 180 მოსწავლე. 2019-2020 სასწავლო წლის იანვრის მდგომარეობით კი, ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებს 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა. სკოლებში ირიცხება 3861 მოსწავლე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე ოკუპირებული გალის რაიონში პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხი. იქიდან გამომდინარე, რომ მათ ეკრძალებათ ქართულად გაკვეთილის ჩატარება,

[5]აფხაზეთის ა.რ მთავრობა (ანალიტიკის ცენრი)

სამსახურში აყვანა ხდება არა მათი პედაგოგიური კვალიფიკაციისა და გამოცდილების, არამედ რუსული ენის ცოდნის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პრობლემების გათვალისწინებით, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე მასწავლებლებს ექმნებათ, ასევე, ფსიქოლოგიური ზეწოლის და სხვა სირთულეების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მათი მაქსიმალური ხელშეწყობა. სწავლება. სამაგიეროდ, ასწავლიან რუსი ავტორების მიერ დაწერილ რუსეთის ისტორიას, რუსეთის გეოგრაფიას, რუსულ ენაზე დაბეჭდილ აფხაზეთის ისტორიას. სასკოლო ბიბლიოთეკებში ასევე აკრძალულია ქართულ ენაზე დაწერილი ქართული ენციკლოპედიების თუ კლასგარეშე საკითხავი სხვადასხვა ლიტერატურის შენახვა-გამოყენება.

2018-2019 სასწავლო წელს გალის რაიონში სკოლა დაასრულა 410-მა მე-11 კლასელმა მოსწავლემ. ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირდა 202. გამოცდებზე მიღებული შედეგებით ჩაირიცხა 89, ე.წ. გამშვები პუნქტის დაკეტვასთან დაკავშირებული გამონაკლისის წესით - 110, სკოლისშემდგომი განათლების პროგრამის ფარგლებში - 137. სულ 2019 წელს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტი გახდა 336 სკოლადამთავრებული. პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 21 სტუდენტი. სოხუმში - ჩაირიცხა მხოლოდ 29.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომებს არ აღიარებს. რა თქმა უნდა ახალგაზრდებს უჭირთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაქმება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისინი ცდილობენ თბილისში ან სხვა ქალაქში დამკვიდრდნენ, რაც ოჯახების ხელოვნურად გაყოფას იწვევს.

2.3. უძრავი ქონების საკითხი ოკუპირებულ აფხაზეთში

პერიოდულად ცხარე დებატები მიმდინარეობს უძრავი ქონების საკითხზე. რუსეთი მოითხოვს აფხაზურმა ე.წ. ხელისუფლებამ დააჩქაროს კანონის მიღება, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის უფლებას მისცემს. აფხაზური ე.წ. ხელისუფლებისა და საზოგადოების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ კანონის დაჩქარებული მიღება აფხაზეთს კარგს არაფერს მოუტანს, პირიქით, კანონის მიღება გამოიწვევს 5 აფხაზეთში დემოგრაფიული სურათის შეცვლას- გაღატაკებული მოსახლეობა ყველაფერს გაყიდის უცხოელებზე და საბოლოოდ აფხაზებს მთებში გახიზვნა მოუწევთ, მათ ადგილს კი სხვები დაიკავებენ. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ უძრავი ქონების გაყიდვა არარეგალურად მაინც ხდება, ამიტომ საჭიროა მისი კანონის ფარგლებში მოქცევა, რათა სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ქონების გაყიდვიდან ფული შევიდეს. სწორედ მეორე ნაწილს მიეკუთვნება ქ. სოხუმის ე.წ. საკრებულოს თავმჯდომარე კონსტანტინე ფილია, რომელმაც მ.წ. 26 აპრილს საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან რადიო „ სპუტნიკის“ ეთერში განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს აფხაზეთის დედაქალაქში საცხოვრებელი ბინების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვას, რადგან ეს ეკონომიკის გამოცოცხლებას ხელს შეუწყობს. „ჩემი და რიგი ჩემი კოლეგების ინიციატივა იყო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საცხოვრებელი ბინების ბრუნვაში მონაწილეობდეს. ეს კარგი პერსპექტივაა. კარგი იქნება საცხოვრებელი ბინები აშენდეს იმ რაიონებში, რომლებიც განვითარებული არ არის. მაგალითად ჭანბას ქუჩაზე, შუქურას რაიონში არსებობს მიწის ნაკვეთები. მთავარია, მშენებლობის ნებართვა იყოს.“ - აღნიშნა ფილიამ. ცხადია, სოხუმში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინების გაყიდვის იდეა მხოლოდ ერთი კაცის ნააზრევი არ არის. ამ წინადადების უკან იგულისხმება ის ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია საცხოვრებელი ბინების აშენებითა და სარფიანად გაყიდვით, ამასთან, ე.წ. საკრებულოს თავმჯდომარე ხაზს უსვამს, რომ ბინები უნდა გაიყიდოს მხოლოდ იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებმაც „

აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ აღიარეს. ამ პროექტის განხორციელება, საეჭვოა მალე მოხდეს, მაგრამ თუ საცხოვრებელი ბინები შუქურას რაიონსა და ჭანბას ქუჩაზე მართლაც აშენდა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მათი შეძენის უფლება მიეცათ, ბუნებრივია, რუსეთი მათ შორის ყველაზე აქტიური მყიდველი იქნება. ამავე პერიოდში აფხაზურმა სააგენტოებმა ინფორმაცია გაავრცელეს იმის თაობაზე, რომ გალის, ოჩამჩირის და გაგრის რაიონებში თურქეთიდან, იორდანიიდან და სირიიდან ჩასული რეპატრიანტების ჩასახლება იგეგმება. რადგან „საზღვრისპირა“ ტერიტორიებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები კი არ უნდა ცხოვრობდნენ, არამედ აფხაზები. ამის შესახებ აფხაზურ მედიას ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. რეპატრიაციის მინისტრმა ბესლან დბარმა განუცხადა. მისი თქმით, იორდანიაში აფხაზური დიასპორის 130 წარმომადგენელს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სურს. „ისინი დაახლოებით 35-დან 50-მდე წლისანი არიან, მათი მშობლები კი იქ რჩებიან ასაკის გამო. ადამიანები, რომალთაც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება სურთ, რეპატრიაციის ფონდიდან დახმარებას არ ითხოვენ“,-ხაზი გაუსვა დბარმა. ე.წ. რეპატრიაციის მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რაბრუნებული რეპატრიანტების განსახლება მოხდება გაგრის, გალის და ოჩამჩირის რაიონებში და ამ პროცესში „სამინისტროც“ აქტიურად ჩაერთვება. „გალი და გაგრა – ეს ჩვენი რესპუბლიკის “კარიბჭეა”. როგორც საზღვრისპირა გაგრის რაიონში, გალშიც ძირითადად სხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. იქ კი ეთნიკურად აფხაზები უნდა ცხოვრობდნენ, რომლებიც რესპუბლიკაში მოსულ ადამიანებს ეტყვიან “კეთილი იყოს თქვენი მობრძანება”, – განაცხადა დბარმა. ე.წ. რეპატრიაციის მინისტრი გალშიც ჩავიდა და რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან თემურ ნადარაიასთან შეხვედრაზე იორდანიელი, თურქი და სირიელი რეპატრიანტების ჩასახლების საკითხზე ისაუბრა. მართალია, კონკრეტული თარიღები არ დასახელებულა, თუმცა მოგვიანებით დბარმა რუსულ გამოცემასთან საუბარში თქვა, რომ უკვე ზაფხულის ბოლომდე გადაწყდება

იორდანიიდან ჩამოსული დიასპორის წარმომადგენლების საცხოვრებლებით უზრუნველყოფის საკითხი. რეპატრიაციის ე.წ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ერკან კუტარბა კი აღნიშნავს, რომ მათი მონაცემებით, უცხოეთში მცხოვრებმა 11 ათასამდე თანამემამულემ აფხაზეთის მოქალაქეობა უკვე მიიღო, 4 500-ზე მეტი რეპატრიანტი კი აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნდა. „სამშობლოში დაბრუნებულ რეპატრიანტთა რაოდენობა ოჩამჩირეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე მეტია. აფხაზეთში საცხოვრებლად უკვე 4,5 ათასზე მეტი ადამიანი დაბრუნდა. რეპატრიანტებში შობადობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ აფხაზებში. მათ ოჯახებში სამიდან ხუთამდე ბავშვია, "- ამბობს რეპატრიაციის ე.წ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. DFeatch, 14.06.18 ამავე პერიოდში აფხაზეთის ე.წ. რეპატრიაციის სამინისტროს წარმომადგენლებმა ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან განიხილეს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების" დაბრუნების პერსპექტივები. რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ხრიპს ჯოპუამ ხაზი გაუსვა, რომ „ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობა ყოველმხრივ უჭერს მხარს თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნებას. ჩვენ მზად ვართ აქტიურად შევუწყოთ ხელი რეპატრიაციის სამინისტროს ყველა ინიციატივას".- თქვა ჯოპუამ. ე.წ. რეპატრიაციის მინისტრმა ბესლან დბარმა ხაზი გაუსვა, რომ რეპატრიაცია წარმოადგენს ყველაზე რთული საკითხის, დემოგრაფიული სიტუაციის გადაწყვეტის ერთ ერთ გზას. „ბოლო ხანებში თურქეთში მცხოვრებ ჩვენს დიასპორაში დიდი ინტერესი გაჩნდა აფხაზეთში დაბრუნების მიმართ. სამინისტროში შემოვიდა დიდი რაოდენობის განაცხადებები, სადაც ადამიანები აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნების მზადყოფნას გამოხატავენ".- განაცხადა მან. ბესლან დბარი დაინტერესდა ოჩამჩირის რაიონში რეპატრიანტების განსახლების შესაძლებლობით. „ჩვენი მიზანია უფასო საცხოვრებელი ადგილის მოძიება რეპატრიანტებისთვის. როგორც ცნობილია, რაიონის სოფლებში ბევრი

ცარიელი სახლი და გამოუყენებელი მიწის ნაკვეთია, სადაც შეიძლება აფხაზეთში დაბრუნებული ჩევნი თანამემამულეების განსახლება. ამ პროცესის განვითარება ხელს შეუწყობს დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს“,- ხაზი გაუსვა დბარმა. თავისი მხრივ, ოჩამჩირის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის უფროსმა ხრიპს ჯოპუამ აღნიშნა, რომ „ოჩამჩირის რაიონში 14 დაცარიელებული სოფელია, ადრე იქ ქართველები ცხოვრობდნენ. ქალაქ ოჩამჩირეში, მე-6 რაიონში 2 მრავალსართულიანი სახლია. ერთ ერთ მათგანში საცხოვრებლად გამოსადეგი 20 ბინაა, მეორე სახლში კი-78. ჩვენ მზად ვართ ეს სახლები რეპატრიაციის სამინისტროს ბალანსზე გადავიტანოთ“. მისი თქმით, რეპატრიანტების ჩასახლება შესაძლებელია ოჩამჩირის რაიონის სოფელ აჩიგვარაშიც (ადრე გალის რაიონის სოფელი). „საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იქ სკოლები შენდება, სადაც შეიძლება 170-მა ბავშვმა ისწავლოს. ხოლო ყოფილი საბჭოთა მეურნეობის გამგეობის შენობაში, რემონტის 7 ჩატარების შემდეგ, 100 ოჯახის ჩასახლება არის შესაძლებელი . არის ასევე, უამრავი ცარიელი მიწის ნაკვეთი, ისინიც შეიძლება გაუნაწილდეთ ჩამოსულებს. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, რაიონში 2 სათბურია, სადაც თურქეთიდან ჩამოსული რეპატრიანტები მუშაობენ. აქ 10 ოჯახის დასაქმება შეიძლება. ასევე, ქალაქში არის სკოლა-ინტერნატი, სადაც ბავშვები განთავსდებიან“,- აღნიშნა ოჩამჩირის ე.წ. ადმინისტრაციის უფროსმა. რეპატრიანტთა პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მიზნით, ჯოპუამ წამოაყენა წინადადება, რომ რაიონულ ადმინისტრაციასთან შეიქმნას შესაბამისი თანამდებობა რეპატრიანტებთან მუშაობის მიმართულებით, რომელიც ე.წ. რაიონის ხელმძღვანელს და რეპატრიაციის სამინისტროს დაექვემდებარება. ოჩამჩირის რაიონის ე.წ. უხუცესთა საბჭოს თამჯდომარემ აპოლონ დუმავამ რეპატრაინტების დაბრუნებას „აფხაზი ხალხის ხსნა“ უწოდა . მან აღნიშნა, რომ დემოგრაფიის გასაუმჯობესებლად საჭიროა ერთ ოჯახში 2-ზე მეტი ბავშვი დაიბადოს. მაგრამ აფხაზეთში ბევრია

დაუქორწინებელი ადამიანი, რაც ცუდად აისახება „ქვეყნის“ დემოგრაფიულ სიტუაციაზე. „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი თანამემაულეების აფხაზეთში დასაბრუნებლად და დასამკვიდრებლად“[6],- განაცხადა ე.წ. უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ.

გალში მცხოვრები ე.ტ აღნიშვნით, ინტერვიუ ; „ აფხაზურ ე.წ. ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს აღმოსავლეთ აფხაზეთის „დეპრესიული“ რაიონების „გამოცოცხლება“ იძულებით განდევნილი ქართველების სახლებში რეპატრიანტების ჩასახლების ხარჯზე. ამით სეპარატისტული რეჟიმი ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერაზე ფიქრობს: ერთი მხრივ, ეთნიკურად ქართული მოსახლეობის სახლებისთვის „კანონიერი“ და მისთვის მისაღები მფლობელების გაჩენას და მეორეც, რეპატრიანტების ჩამოსახლებით დემოგრაფიული სიტუაციის ხელოვნურად გაჯანსაღებას.ძალიან მძიმეა ეს პროცესები“.

მიმდნარე წლის ოქტომბრის თვეში გამართულ საქმიან ფორუმზე, რომელშიც ადგილობრივებთან ერთად რუსი ეკონომისტები, პოლიტიკოსები, ექსპერტები მონაწილეობდნენ, რუსული მხარე ისევ შეეცადა ეს საკითხი გაეაქტიურებინა და სასურველი შედეგისთვის მიეღწია. ისინი აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენლებს არწმუნებდნენ, რომ იმისათვის, რომ აფხაზეთში ინვესტიციები შემოვიდეს, აუცილებელია კანონით დაშვებულ იქნას უძრავი ქონების რუსეთის მოქალაქეებზე გაყიდვა, სხვანაირად არც ერთი ინვესტორი აფხაზეთში ფულს არ ჩადებს. იმ დროს, როცა სოხუმში „საქმიანი ფორუმის“ მუშაობის ფარგლებში რუსი მაღალჩინოსნები ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მათთვის ხელსაყრელი კანონის მიღებაზე „ევაჭრებოდნენ“, აფხაზეთის ე.წ. ყოფილმა ვიცე-პრემიერმა და შს მინისტრმა ასლან კობახიამ „ეხო კავკაზასთან“ ინტერვიუში აღნიშნა:. „უძრავი ქონების გაყიდვისა და, ასევე, სხვა

[6] Apsnyprtess, 22.06.18

პრობლემები, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს, საშინაო საკითხებია. მე მინდა განვაცხადო იმ ადამიანების გასაგონად, რომლებიც ცდილობენ გარედან, რაღაც გვირჩიონ ამ საკითხთან დაკავშირებით და, ამასთან, ძალზე არაკორექტული ფორმით: ეს მათი საქმე არ არის. ეს აფხაზური საზოგადოების საქმეა. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრობლემები, და აფხაზური საზოგადოება, ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით განსაზღვრავს - რა და როგორ მოხდეს. დღეისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მკაფიო პოზიცია გვაქვს. ჩვენთან უძრავი ქონების ბაზარი ძალზე მწირია, პატარაა. მეორეც: ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გარედან თავს მოგვახვიონ ეს საკითხი, შესანიშნავად აცნობიერებენ, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უცებ ჭკუიდან გადავალთ და უძრავი ქონების ბაზარს გავხსნით... ჩვენი საზოგადოება ძალიან ღარიბია, როგორც კი გავხსნით უძრავი ქონების ბაზარს, ჩვენ ამით უბრალოდ გავაძევებთ ჩვენს მოქალაქეებს ამ ბაზრიდან. ჩვენი მოქალაქეები კონკურენტუნარიანები არ იქნებიან. ამას ჩვენ უკვე მრავალი წელია ვეუბნებით ჩვენს „კეთილისმყოფლებს“, რომლებიც რჩევებს გვაძლევენ. ჩვენ არავის რჩევა არ გვჭირდება. არავისგან არ გვესწავლება, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. რომელიღაც დეპუტატი ჩამოდის და ნაჩქარევ რჩევებს გვაძლევს , ისე , რომ საქმის არსი კარგად არ ესმის, რა უნდა გავაკეთოთ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია...მიწისა და საკუთრების [უცხოელებისთვის მიყიდვის დაშვების] საკითხი არ განიხილება, რადგან 1) ასეა გაწერილი ჩვენს კონსტიტუციაში და 2) ეს ჩვენი შიდა საკითხებია!" - განაცხადა კობახიამ. ოპოზიციონერმა დეპუტატმა რუსეთის გასაგონად ხაზი გაუსვა: ჩვენ ვინმეს ბატონობას ვერ ავიტანთ. ჩვენ შეიძლება მოგვკლან, მაგრამ ჩვენზე ბატონობას ვერავინ შეძლებს, ჩინოვნიკები მიდიან და მოდიან, აფხაზეთი კი რჩება.-განაცხადა კობახიამ. გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად გალის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პროცესი შეჩერებულია. საკუთარი უძრავი ქონების (სახლი, მიწის ნაკვეთი) ოფიციალურად გაყიდვის უფლება არა აქვთ არა მხოლოდ

იმ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაც ბინადრობის უფლებით მცხოვრების სტატუსი აქვთ, არამედ ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის მქონეებსაც. როგორც ცნობილია, აფხაზურმა ხელისუფლებამ რამდენიმე თვის წინ საბჭოთა პასპორტები გააუქმა, რომლითაც შესაძლებელი იყო გამყოფ ხაზზე გადაადგილება, ფორმა -9 კი ჯერჯერობით მოქმედ დოკუმენტად ითვლება. 8 ნოემბერს აფხაზურ პარლამენტში ე.წ. სახელმწიფო ქონების ობიექტების პრივატიზაციის საკითხებზე კამათი გაიმართა. დეპუტატმა დიმიტრი დბარმა მოითხოვა სახელმწიფო ქონების ობიექტების პრივატიზაციის საკითხის განხილვისას ე.წ. სახელმწიფო ქონებისა და პრივატიზაციის კომიტეტის თავმჯდომარის დასწრება. მისი თქმით, სახელმწიფო მიწას კაპიკებად ჰყიდიან, თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ მისი გაყიდვა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ იჯარით გაცემა ობიექტების პრივატიზაცია მიმდინარეობს, შემდეგ კი ხდება მათი ხელახლა გაყიდვა.“ - აღნიშნა დბარმა. მან,ასევე, უნდობლობა გამოხატა პრივატიზაციას დაქვემდებარებულ ობიექტებში შეთავაზებული ინვესტიციების მოცულობების მიმართ. ის, ასევე, აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ დოკუმენტებში არ არის მოცემული საპრივატიზაციო ობიექტების ფოტოსურათები, ამიტომ გაურკვეველია- ეს რეალურად მოქმედი თუ ნგრევადი ობიექტებია. „სად არის სახელმწიფო ქონებისა და პრივატიზაციის კომიტეტის თვამჯდომარე, რატომ არ მოდის ის პარლამენტში უკვე რამდენიმე სხდომაა, ჩვენ კითხვები გვაქვს ძველ ობიექტებთან დაკავშირებით, მაგრამ მისი მოძებნა ვერ ხერხდება“.- განაცხადა დბარმა. დეპუტატმა ლეონიდ ჩამაგუამ აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ხაზინაში პრივატიზებული ობიექტებიდან როგორც მინიმუმი, 1 მილიარდი რუბლი უნდა შევიდეს. მაგრამ ეს ასე არ ხდება. „რატომ უნდა მივუთითოთ ინვესტიციების მოცულობად - 200-500 მლნ რუბლი, თუ ეს არ გაკეთდება. ჩვენ კარგად გვახსოვს ცანდრიფშის (დაბა განთიადი) მაგალითი. გვარწმუნებდნენ, რომ ობიექტში ჩადებული იქნება 2 მლრდ რუბლი, შემდეგ თანხა შემცირდა 1,5 მლრდ-მდე, მერე 1 მლრდ-მდე, დღეისთვის კი არც ერთი კაპიკი არ

არის ჩადებული. მე პრივატიზაციის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ უნდა შესრულდეს ის პირობები, რომელიც ობიექტის შემდგომ ინვესტიცირებას უკავშირდება. თუ არადა ეს ობიექტები ისევ უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს“, - განაცხადა ჩამაგუამ. ე.წ. პარლამენტის სპიკერმა ვალერი კვარჭიამ აღშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ ხდება იმ მიწის ნაკვეთების ფარული გაყიდვა, სადაც პრივატიზებული ობიექტები დგანან. „ ჰექტარობით მიწა იაფად იყიდება- 400-600 ათას რუბლად. ასეთ ფასად ადამიანები გარაჟს და დამხმარე ნაგებობებს არ გაყიდიან, აქ კი გვთავაზობენ მინიმალური ფასით ობიექტების პრივატიზებას, რომლებიც დიდი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე დგანან“,-აღნიშნა კვარჭიამ. დიდი კამათის შემდეგ დეპუტატებმა მაინც შეადგინეს ორი დამატებითი სია[7] პრივატიზაციას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალით. რუსული მხარე ცდილობს ოკუპირებულ აფხაზეთს მიწის გასხვისების საკითხი თავს მოახვიოს. ამჯერად შესაბამისი განცხადება “აფხაზეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის ელჩმა” ალექსეი დვინიანინმა გააკეთა. მან “მეგობრულად ურჩია” აფხაზურ მხარეს, თუ მიწის ყველა უცხოელზე გასხვისების დაშვება არ სურს, რუსეთის მოქალაქეებისთვის გამონაკლისი დაუშვას. «შევეხები თემას, რომელიც შესაძლოა, აფხაზური საზოგადოებისთვის აქტუალური არ იყოს, თუმცა რეალურად, საკმაოდ მწვავეა. ვგულისხმობ მიწის გასხვისების საკითხს. აქ მიზანმიმართულად ვიტყვი “რუსეთის მოქალაქეებისთვის” და არა ზოგადად “უცხოელებისთვის” მიყიდვას, რადგან სამოკავშირეო ურთიერთობები თავისთავად გულისხმობს იმას, რომ გარკვეულ მწვავე საკითხებში ერთმანეთთან დათმობაზე წავიდეთ, დავუშვათ რაღაც გამონაკლისები, ამ შემთხვევაში – ტერმინ “უცხოელებიდან” პირველ ეტაპზე რუსეთის მოქალაქეები გამოვყოთ», - განაცხადა ალექსეი დვინიანინმა. ე.წ. ელჩის აზრით, ეს საკითხი მედიაშიც, “საზოგადოებრივ პალატაშიც და პარლამენტშიც „ უნდა განიხილებოდეს. «რატომ არ უნდა გავიდეს ეს საკითხები განსახილველად?

[7] Abkhazia inform, 09.11.18

არავინ აიძულებს და არც აპირებს, აიძულოს აფხაზეთი, მსგავსი გადაწყვეტილებები ხალხის აზრის საწინააღმდეგოდ მიიღოს, თუმცა ფაქტია, რომ ეს საკითხები განხილვასა და გადაჭრას საჭიროებს. დასაწყისისთვის, ჩვენ მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ საექსპერტო ან ნებისმიერ სხვა დონეზე ამ თემების განხილვაში», - დასძინა დიპლომატმა. Accent, 18.12.18 ყოველივე ზემოთ თქმულიდან აშკარად ჩანს, რომ საოკუპაციო ძალა მიანმიმართულად იბრძვის ოკუპირებულ აფხაზეთში თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის. კერძოდ, მან უკვე წარმატებით გადაწყვიტა ენგურის პერიმეტრზე ბორდერიზაციისა და მავთულხლართების გაყვანა და დააფიქსირა „საქართველო-აფხაზეთის საზღვარი“. მკაცრად აკონტროლებს გამყოფ ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიას და „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის ადამიანების -დაკავებას, მათი დროებითი დაკავების იზოლატორში გადაყვანას, დაჯარიმებას და დაპატიმრებას მიმართავს. აქტიურად მიდის მუშაობა გალის რაიონის რუსიფიკაციისთვის და თუ ამ მიმართულებით რაიმე არ შეიცვალა, ნეგატიურ ტენდენციები კიდევ უფრო გაღრმავდება. ამას ემატება, გალელთა დისკრიმინაცია - მათი უცხო ქვეყნის მოქალაქეებად აღიარება და „ბინადრობის უფლების“ შემოღება. რუსეთი ,ასევე, თავს არ ანებებს რუსეთის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გაყიდვის დაშვების საკითხის პედალირებას, თუმცა არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ ეს თემა აფხაზური მხარისთვის კატეგორიულად მიუღებელია. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფიქსირდება ძალზე რთული სიტუაცია, რომლის განმუხტვაზეც საოკუპაციო ძალას და სეპარატისტულ რეჟიმს არაერთხელ მიუთითეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და აღნიშნეს, რომ 21-ე საუკუნეში სამარცხვინო და მიუღებელია ხელოვნური ბარიერებითა და მავთულხლართებით ადამიანების გაყოფა და მათი იზოლირება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა, სხვადასხვა სახის დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, თუმცა ადგილობრივი სეპარატიტული რეჟიმი ამ მოწოდებებზე არ

რეაგირებს, პირიქით, ქართულ მხარეს მოუწოდებს მიიღოს აფხაზეთში არსებული სტატუს-კვო და შეეგუოს იმ რეალობას, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც, ცხადია, არასდროს არ მოხდება.

2.4. კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ აფხაზეთში

ოკუპირებულ აფხაზეთში აქტუალური გახდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხი, სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით აფხაზ ხალხს საკუთარი იდენტობის დადასტურება და ცნობადობის ამაღლება შეუძლია. ამასთან, აფხაზები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლები მხოლოდ მათი საკუთრებაა და მათ შექმნაში ქართველ ერს არავითარი წვლილი არ მიუძღვის. ამას მოწმობს მათ მიერ გაკეთებული განცხადებები. ქართულმა მხარემ აფხაზური ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ შესთავაზა დახმარება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების-ეკლესიებისა და ტაძრების რესტავრაციაში, მაგრამ აფხაზურმა მხარემ ამასთან დაკავშირებით უარი განაცხადა. აფხაზური ე.წ. კულტურის სამინისტრო ძეგლების რესტავრაციას მხოლოდ რუსეთიდან ჩამოყვანილ სპეციალისტებს ანდობს, სწორედ მათ, რომელთა „დახმარებითაც“ წაიშალა ფრესკები და ლაპიდარული წარწერები არაერთ ტაძარზე. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადაკეთება-გადმოკეთებისა და მათი კედლებიდან ქართული კვალის წაშლის პროცესი დღემდე გრძელდება, რაც ამ ძეგლების ავთენტურობის დაკარგვას იწვევს. ამ ბოლო ხანებში ასეთი საფრთხე დაემუქრა ანაკოფიის უძველეს ციხეს, რომლის შერემონტება-რესტავრაციას აფხაზური მხარე რუსი სპეციალისტების დახმარებით აპირებს. მ.წ. აპრილის თვეში აფხაზეთის ე.წ. კულტურისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ანაკოფიის ციხის კარიბჭის რესტავრაციის ესკიზური

პროექტი განიხილეს. ე.წ. მინისტრის მოადგილემ ბატალ კობახიამ ხაზი გაუსვა, რომ ეს რესტავრაციის საბოლოო პროექტი არ არის. „ამიტომაც მე მინდა, რომ თქვენ უფრო მეტად შეჩერდეთ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის შენარჩუნების საკითხზე- რესტავრაცია თუ კონსერვაცია? მნიშვნელოვანია, რომ თქვენი მოსაზრებები გამოთქვათ. ეს დიდი პროექტია, უნიკალური თავისი გლობალურობით და ის პრეცენდენტი იქნება რესპუბლიკის კულტურული მეკვიდრეობის სხვა ძეგლებისთვის“,-აღნიშნა კობახიამ. ნაკრძალის დირექტორმა, რესტავრაციის ინიციატორმა ალხას არგუნმა განაცხადა, რომ მთავარ ამოცანას შეადგენს ობიექტის დაცვა და პირველივე შესაძლებლობისთანავე მისი აღდგენა და რესტავრაცია. „ჯერ კიდევ 2002 წელს განხორციელდა ციტადელის აღმოსავლეთის კოშკის - ანაკოფიის ციხის მთავარი ობიექტის, რესტავრაცია. ახალი ათონის მღვიმემ საკუთარ თავზე აიღო საჭირო დანახარჯების ნაწილი და კოშკი აღადგინეს. ეს ჩემთვის რესტავრაციის პირველი გამოცდილება იყო, ხოლო 2014 წელს არქეოლოგიური კომისიის მხარდაჭერით დაიწყო ციხე-სიმაგრის კარიბჭის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრები. ამჟამად ციხე ჩვენს თვალწინ ინგრევა. ჩვენ იძულებული ვართ ვიბრძოლოთ ანაკოფიის ციხის მთავარი ობიექტების გადასარჩენად, რადგანაც ყველაფრის მოწესრიგების ძალა არ შეგვწევს. ჩვენი აზრით, ანაკოფიის ციხის შესასვლელი და მისი მრგვალი კოშკი წარმოადგენს უნიკალურ საფორტიფიკაციო ნაგებობას არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მსოფლიო არქიტექტურისათვის“,-ხაზი გაუსვა არგუნმა. მისი თქმით, ციხე-სიმაგრის რესტავრაციის პროექტის ავტორია, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი, სამხრეთ სამეცნიერო სარესტავრაციო ცენტრის დირექტორი ვიქტორია პიშულინა, რომელმაც აღნიშნა, რომ რესტავრაციის პროექტში შედის 4 ობიექტი-კედელი, რომელიც მიემართება მეორე კოშკისკენ, კარიბჭის კოშკი, შესასვლელი კვანძი და შიდა ეზოს კედელი. მისი თქმით დასავლეთ ევროპაში

საფორტიფიკაციო ნაგებობების რესტავრაციის წინ იყენებენ გამჭოლი რესტავრაციის მეთოდს. ტურიზმის განვითარებისათვის გაცილებით საინტერესოა იმის ნახვა, თუ როგორ იქნა აღდგენილი ობიექტი, ვიდრე მისი კონსერვაცია, რაც არ იძლევა ობიექტის დიდი ხნით შენარჩუნების საშუალებას. ბატალ კობახია დაინტერესდა, მსგავსი მასშტაბური რესტავრაციის შემდეგ ობიექტისთვის რამდენად შესაძლებელია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში მოხვედრა. „ხომ არ დაირღვევა რესტავრაციის პროცესში ობიექტის ისტორიული, არქიტექტურული ავთენტურობა, რაც იუნესკოს კულტურილი მემკვიდრეობის სიაში ამ თუ იმ ობიექტის მოხვედრის ერთ ერთი პირობაა? ანაკოფიის ციხე ერთ-ერთია აფხაზეთში არსებული იმ ხუთი-ექვსი ობიექტიდან, რომელსაც შეუძლია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში ჩართვის პრეტენდენტი იყოს. ლიხნის ტაძარი, სამწუხაროდ, იუნესკოს ექსპერტთა დასკვნით, უკვე ვერ 9 მოხვდება ამ სიაში, რადგანაც ტაძრის შიგნით ააშენეს ნაგებობები, რომლებმაც მთლიანად დაარღვიეს მისი ავთენტურობა. ვენეციის ქარტიაში აღნიშნულია, რომ ყველგან, სადაც რესტავრაცია იწყება, მთავრდება ობიექტის ავთენტურობა“,-აღნიშნა კობახიამ. სხდომის მონაწილე სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 14 წევრიდან 9-მ, ხმა მისცა ანაკოფიის ციხე-სიმაგრის რესტავრაციის ესკიზურ პროექტს და მხარი დაუჭირა სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას. ორმა - ე.წ. კულტურის მინისტრმა ელვირა არსალიამ და მისმა მოადგილემ ბატალ კობახიამ პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. როგორც ალხას არგუნმა განმარტა, ციხე-სიმაგრის რესტავრაცია წინასწარი გათვლებით 50 მლნ რუბლი დაჯდება[8]. ანაკოფიის ციხის ნაკრძალის დირექტორის რწმენით, ობიექტის ახლანდელ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლება, რადგანაც ისტორიული ძეგლი დღითიდღე ნადგურდება.

აფხაზები თავად აღიარებენ, რომ რუსების მიერ ჩატარებული „რესტავრაციის„ შედეგად ლიხნის ციხემ ავთენტურობა დაკარგა და აქედან

[8] Sputnik Abkhazia, 30.03.18

გამომდინარე, ის შეტანილი ვერ იქნება იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, რაც შეეხება ანაკოფიის ციხეს, თუ აფხაზური ე.წ. კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა მისი რესტავრირება რუს არქიტექტორს, ვინმე პიშულინას დაანებეს, მასაც ისეთივე ბედი ეწევა, როგორიც ლიხნის, ილორის და სხვა ტაძრებს, რადგანაც რუსი არქიტექტორი მიიჩნევს, რომ უმთავრესია არა ძეგლის ავთენტურობის შენარჩუნება, არამედ მისი ტურისტული მიმზიდველობის წარმოჩენა, რაც საბოლოო ჯამში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს დააზიანებს.

2.5. ბორდერიზაციის მორიგი ეტაპი

2018 წლის ივლისის თვეში საოკუპაციო ძალამ ბორდერიზაციის მორიგი ეტაპი დაიწყო და გამყოფ ხაზთან, ოტობაია-განმუხურის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს, მავთულხლართების ახალი ზოლი გაავლო, რათა მდინარე ენგურის ფონებით ე.წ. საზღვრის გადაკვეთის მცდელობები აღეკვეთა. ამასთან, ორსანტია-ოტობაიის ადმინისტრაციულ საზღვართან, რუსმა სამხედროებმა სათვალთვალო კოშკურაც ააშენეს, რომელიც ვიდეო სათვალთვალო მოწყობილობით არის აღჭურვილი და მოპოვებულ ინფორმაციას აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ბაზებს გადასცემს (11.07.18). მავთულხლართების გავლების პროცესი გაგრძელდა, ასევე, წყოუში-საბერიოს გამშვები პუნქტის გასწვრივ. თავიდან ამ მონაკვეთზე საოკუპაციო ძალამ მავთულხლართების ერთი ზოლი გაავლო, ამ დროისთვის უკვე გაყვანილია მეორე ზოლი, მესამე კი გავლების პროცესშია. (25.07.18).

თავი 3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დისკრიმინაციის ფაქტები

გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ სეპარატისტული რეჟიმი დისკრიმინაციის სხვადასხვა ხერხებს მიმართავს. ერთ ერთი მათგანი ხელფასიდან დაქვითულ საშემოსავლო გადასახადს უკავშირდება. ადგილობრივების თქმით, ოკუპირებულ აფხაზეთში „ბინადრობის უფლების" სტატუსის მქონე პირებს ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის სახით 30 % უკავდებათ, მაშინ, როცა ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობის მქონე პირებისთვის საშემოსავლო გადასახადი ხელფასის თანხის 20 პროცენტს შეადგენს. (06.08.18). სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას განიცდიან გალელი მოსწავლეებიც, რომელთაც ქართული სკოლების გაუქმების გამო ადგილზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება არა აქვთ. სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან, ასევე, დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა გალის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსწავლეების მიერ ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონების სკოლებში სიარულს, მათ სერიოზულ ბარიერებს უქმნიდნენ გამყოფ ხაზზე გადაადგილებაში ე.წ. მებაჟეები. არაერთხელ

მოხდა ამ მოსწავლეების დაკავება და მშობლებთან ერთად გალის ე.წ. მილიციის განყოფილებაში გადაყვანა იმის გამო, რომ ისინი მეზობელი ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონების სკოლებში სასწავლებლად დადიოდნენ. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე, არ აღიარებენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში აღებულ დიპლომებს, ამიტომ ქართული უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდები ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაბრუნების შემდეგ სამსახურს ვერ შოულობენ. სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები გალელ ახალგაზრდებს მოუწოდებენ, რომ სკოლის დასრულების შემდეგ აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ სწავლა, რადგანაც სხვანაირად ისინი „აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრირებას ვერ შეძლებენ". მოსწავლეთა დისკრიმინაციის შემთხვევაზე წერს სააგენტო DFwatch.net, რომელიც მიუთითებს, რომ სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებმა გალელ მოსწავლეებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებზე დასწრება აუკრძალეს. გალის ე.წ. ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ამ ცოტა ხნის წინ რაიონის ქართულ სკოლებს სტუმრობდა. როგორც სააგენტო DFwatch-ისთვის გახდა ცნობილი, შეხვედრების ფარგლებში, ის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას გაეცნო და დირექტორებს მოუწოდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებზე ბავშვები არ გააგზავნონ. საქმე ეხება ვენაში გამართულ ღონისძიებას - „მე ვხატავ აფხაზეთს", რომელშიც, სხვა ბავშვებთან ერთად, გალის რაიონის სკოლების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. ნაირა ამალიამ უკმაყოფილება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მოსწავლეთა ნამუშევრებში აფხაზეთი ოკუპირებულად აღიქმება. ღონისძიება, რომელსაც გალის ე.წ. ადმინისტრაციაში უკმაყოფილება მოჰყვა, ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მასში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც აფხაზეთში მცხოვრები ბავშვები, ასევე,

ქუთაისის, ზესტაფონის და ჭიათურის სკოლების მოსწავლეები. გამოფენა, სახელწოდებით, „მე ვხატავ აფხაზეთს", 24 აგვისტოს გაიმართა[9].

2018 წლის ივლისის ბოლოს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატებმა პრივატიზაციას დაქვემდებარებული ობიექტების დამატებითი სია დაამტკიცეს, რომლებიც კონკურსის წესით გაიყიდება. ჩამონათვალში შეტანილია ყოფილი სახელმწიფო საწარმოოს „სოხუმის ქიმიური ქარხნის" კომპლექსი (სოხუმი, გუმისთის ქ.7). ნაგებობის ფართობთან ერთად (12 2018,96 კვ.მ) ; საწყისი ფასი 15 მლნ რუბლია. ქ. გუდაუთაში მდებარე რესპუბლიკური უნიტარული საწარმოო: „ავტოსარემონტო ქარხანა". ნაგებობის ფართობი 5 962 კვ.მ; საწყისი ფასი- 10 მლნ რუბლი. საპრივატიზაციოდ გატანილია, ასევე, სანატორიუმ „გაგრიფშის" კომპლექსის ზედა ნაწილი. ნაგებობის ფართობი 7 164, 38 კვ.მ; საწყისი ფასი 17 მლნ რუბლი[10]. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ გალის რაიონის სოფლების გაგიდისა და რეფის ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს, კერძოდ ხე-ტყისა და ბუჩქნარის ამოძირკვა, არხების გაყვანა. სავარაუდოდ, შესაბამისი სამუშაოები პირველ ეტაპზე 3,5 ათას ჰექტარზე ჩატარდება. წინასწარი ინფორმაციით, გაგიდისა და გუდავის ტერიტორიაზე მოეწყობა საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსი. ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს რუსეთიდან ჩამოსული ბიზნესმენები ხელმძღვანელობენ. მოსახლეობაში, ასევე, აქტიურად მუსირებს ხმები იმის შესახებ, რომ იმ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები აღნიშნულ ზონაში მდებარეობს, ამ ტერიტორიიდან აყრა მოუწევთ. მათ ქალაქ ოჩამჩირესა და ოჩამჩირის რაიონის სოფლებში მიტოვებულ სახლებს შესთავაზებენ. (20.07.18) ზემოთმოყვანილი ფაქტები ნათლად მიუთითებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებების შეზღუდვისა და მათი შევიწროების ტენდენციები დღითი დღე იზრდება და განზოგადოებულ

[9] DFwatch,21.09.18 5

[10] Abkhazia inform, 27.07.18

ხასიათს იღებს. საოკუპაციო და სეპარატისტული რეჟიმები ყოველმხრივ ცდილობენ, რომ ისინი მუდმივი შიშისა და წნეხის ქვეშ იყოლიონ, ხოლო იმ ადამიანებს, ვინც მათ რეჟიმს ვერ შეეგუება და თამაშის წესებს არ მიიღებს, ტერიტორიისა და სახლების დატოვებისკენ უბიძგონ.

სოხუმელი ჟურნალისტი იზიდა ჭანია აფხაზეთის ე.წ. სასამართლომ ცილისწამებაში ცნო დამნაშავედ. იგი შინაგან საქმეთა მინისტრს და დეპუტატს, რაულ ლოლუას აკრიტიკებდა. სასამარტლო პროცესი თითქმის 2 წელი გრძელდებოდა. სასამართლომ იზიდა ჭანიას ლოლუასატვის მორალური ზიანის მიყენებისათვის კომპენსაცია და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება დააკისრა.

ინტერვიუ: გალში მცხოვრები მოქალაქე, 45 წლის ბ.გ - „ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენი მდგომარეობა ყოველთვის რთული იყო, მაგრამ ახლა გაცილებით მძიმეა, რადგან დაიხურა თხილის გადამამუშავებელი პატარ-პატარა საწარმოები, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიდა. ჩვენ აქ ძირითადად თხილისა და ციტრუსის გაყიდვის გარდა სხვა შემოსავალი არ გვაქვს. ამიტომ სხვა გზა არ გვაქვს, ძირითადად არაქციზური პროდუქტების შემოტანა, შემდგომ რეალიზება გვიწევს. აი მაგაზე ტუ დაგვიჭირეს არც მაშინ ვართ კარგ დღეში, არც გამოსავალია ამ ეტაპზე.

სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მირებული სტატისტიკაც ადასტურებს, რომ 2018 წლიდან გაზრდილია იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებისას შემოსავლების სამსახურის მიერ შედგენილი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155 მუხლით (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა)

ჯანმრთელობის დაცვის უფლება არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული. მათ შორის, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-12 მუხლის თანახმად, ყველა

ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ასევე მოიცავს ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობას და იგი ადამიანის აბსოლუტური უფლება და, შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული საგანია. თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები, ასევე, პაციენტთა გართულებული გადაადგილება გამყოფ ხაზზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უფლებაზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა სამედიცინო დახმარების მიღებას ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა ცდილობს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს სახელმწიფო პროგრამები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის დასაცავად.შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო პროგრამები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს მთავრობის ყველაზე წარმატებულ პროგრამად რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა უნდა ჩაითვალოს, რომლის ფარგლებშიც, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სრულიად უფასოდ მკურნალობენ. მაგალითად, 2019 წლის განმავლობაში, „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან 863 პაციენტი დაფინანსდა, მათგან, 689 პირი ოკუპირებული აფხაზეთიდან.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოწვევად რჩება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებაც. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა 2016 წელს აბორტის სრულ აკრძალვას დაუჭირა მხარი. ამოქმედებული კანონი

„ჯანდაცვის შესახებ“, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას სამედიცინო ჩვენების შემთხვევაშიც კი არ ითვალისწინებს. დღევანდელი რეგულაციით, აფხაზეთის რეგიონში აბორტის სერვისის ლეგალურად მიღება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ სამედიცინო დასკვნით, შეწყვეტილია ორსულობა. აბორტის სერვისების არარსებობა ხელს უწყობს სხვადასხვა არალეგალური პრაქტიკის დამკვიდრებას. სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა შემთხვევები, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, ამ სერვისის მისაღებად, სხვადასხვა, ე.წ. „მიწისქვეშა“ (აკრძალულ) ხერხს მიმართავენ. დე ფაქტო ხელისუფლების მიერ. ასევე გამოვლინდა ოკუპირებული რეგიონებიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსული არასრულწლოვანი ორსული გოგოების მშობიარობის და შემდეგ ახალშობილების გაშვილების (იგულისხმება კანონით დადგენილი პროცედურებისთვის გვერდის ავლით) შემთხვევები. სახალდო დამცველის ინფორმაციის თანახმად, აბორტის სერვისის აკრძალვის შემდეგნ ოკუპირებულ რეგიონებში გახშირდა ახალშობილი ბავშვების სანაგვე ყუთებში დატოვების ფაქტები. უსაფრთხო აბორტის სერვისზე ხელმისაწვდომობა, ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია არსებული რეგულაციების შეცვლა, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქალების უფლებრივ მდგომარეობას.

3.1. ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევა

სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში, ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ ადგილი აქვს ბავშვთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უხეშ დარღვევას, ბავშვები მშობლებთან ერთად, მუდამ შიშისა დასტრესის ქვეშ იმყოფებიან.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი დე ფაქტო კანონებით, ადგილობრივ ქართულ ოჯახში დაბადებული ქართველი ბავშვების რეგისტრაციაც კი აკრძალულია, ვინაიდან მამა–პაპათა მშობლიური მიწის მემკვიდრეები, მშობლებთან ერთად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებად არიან გამოცხადებული. დაბადების პირველივე წუთებიდანიწყება მათი კანონიერი უფლების შელახვა. ხშირად ადგილი აქვს მათი იდენტობის შეცვლის მცდელობას.

გალი, 2019 წელი, ნ.დ.: „ჩემი შვილის საბუთი არ გვაქვს, თვეებია დაიბადა. აფხაზად ჩაწერა არ გვინდა. არ ვიცი ამ გარემოში როგორ იზრდებიან ბავშვები. სასაცილოა საუბარი ადამიანის უფლებეზე და ზოგად პრინციპებზე. აქ სხვა რეალობაა, აქ სხვა ცხოვრებაა. ზოგჯერ ტელევიიზით, რომ გადმოსცემენ ჩვენს მდგომარეობას თან მეცინება, თან მეტირება. რელობა გაცილებით სხვაა. არ უნდა ამ ხალხს შერიგების პოლიტიკა, საერთაშორისო თანამეგობრობა სულ შეშფოთებას გამოთქვამს, სადაა ჩვენი საშველი. ქართველები აფხაზებს ყველაფერ უკეთებენ, მაგდენი უფლება ჩვენ არ გვაქვს , მაგრამ არაა შედეგი. იყენებენ ყველაფერს და მერე სხვანაირად ამბობენ“.

3.2. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობა, შედეგები. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. აღნიშნული დისკუსიების ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად. მას შემდეგ წელიწადში ტარდება 4 რაუნდი.

საქართველოსა და რუსეთის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებენ აშშ-ს წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშივშირის და გაეროს მხრიდან. დისკუსიებში ასევე ჩართულნი არიან ცხინვალის და სოხუმის

წარმომადგენლები. გარდა ამისა, ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. აღნიშნული ფორმატის ყველა მონაწილე ინდივიდუალური სტატუსით არის წარმოდგენილი.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში. პირველში განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს (მაგალითად, რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა), ხოლო მეორეში - იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი, ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები (მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილება და სხვა).

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში, 2009 წლის თებერვალში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, კონფლიქტის მხარეებს შორის რეგულარულად იმართება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები (IPRM). აღნიშნულ შეხვედრებზე, გაეროს, EUMM-ის, ეუთოს, მოსკოვის, თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები კონკრეტულ ინციდენტებზე რეაგირების გზებს და მიმდინარე საკითხებს განიხილავენ. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მოქმედებს „ცხელი ხაზი“ - კონფლიქტის მხარეებს შორის მოქმედი სატელეფონო კავშირის სისტემა. როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აღნიშნავს, „ცხელი ხაზის“ სისტემა მონაწილეებს შორის, კონკრეტული ინციდენტების დროს განვითარებული მოვლენების შესახებ საერთო აზრის შექმნისათვის „მეტად სასარგებლო“ ინსტრუმენტია. სადამკვირვებლო მისიის

მიხედვით, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით არაერთხელ მოხდა შესაძლო დაძაბულობის განმუხტვა.

ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ადგილზე საქმიანობა შეზღუდულია, როგორც გალის რაიონში (აფხაზეთი), ასევე სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში. აფხაზეთში, რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს; გალში ნომინალურად არის წარმოდგენილი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. 2018 წელს, აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც აფხაზ საჯარო მოხელეებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა ეკრძალებათ. აღნიშნული გადაწყვეტილება დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს, დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტისთვის აფხაზეთში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებდა.

ექსპერტ, მამუკა არეშიძის შეფასება :

„აფხაზური საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ რუსეთზე აბსოლუტურად ჩამოკიდება არაფერს მოუტანთ.

„დიალოგს წინ რა უდგას? - არაფერი. ყოველთვის შეიძლებოდა დიალოგის ფორმატის შექმნა. როგორც კი იწყებოდა მცდელობა ქართულ-აფხაზური დიალოგის, იმ წუთში ჩნდებოდა გარემოებები, რომელიც დაკავშირებული იყო პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტასთან, რუსეთის პოზიციასთან და ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პრაქტიკულად ასეთი ტიპის დიალოგის რეჟიმის შექმნას ხელს უშლიდა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დაიწყეს აფხაზურმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ახლა ამ თემაზე საუბარი, ძალიან მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ აფხაზური საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი, მართალია ასეთი ძალიან ცოტაა მაგრამ ასეთებიც არსებობენ.

დღეს რუსეთი მართავს აფხაზეთს ისეთი მეთოდით, როგორიც არის ე.წ „მოკლე თასმაზე“ ყოფნა. ანუ აძლევს იმ თანხას, რომელიც სჭირდება სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და მორჩა. ამ მდგომარეობაში ყოფნა, იმისთვის, რომ გახდე დამოუკიდებელი სახელმწიფო, რასაც ფიქრობენ აფხაზი პოლიტიკოსები, რასაკვირველია არ გამოვა. ამიტომ არის საჭირო მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა, მრავალვექტორიანი ეს მათი აზრით, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან ურთიერთობას, მაგრამ მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები მათთან არ ურთიერთობენ იმიტომ, რომ საქართველო არ ურთიერთობს. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში საჭიროა საქართველოსთან დიალოგის რეჟიმის შექმნა და რაღაცნაირად ურთიერთობის დალაგება და ამიტომ გადაწყვიტეს ამ ნაბიჯის გადადგმა. რაც შეეხება შედეგს, ვერანაირ შედეგს ვერ გამოიტანს, თუ აფხაზური მხარე არ იქნება მოქნილი. თუ აფხაზური მხარე დააყენებს საკითხს ისე, როგორც აქამდე აყენებდა, რომ ეს უნდა იყოს პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დიალოგი, მაშინ ეს დიალოგი არ შედგება, თუ აფხაზური მხარე შეცვლის თავის გადაწყვეტილებას მაშინ შანსი არის, რომ ამ დიალოგს რაღაც შედეგი მაინც ჰქონდეს. თუ ჩვენ შემოგვთავაზებენ აფხაზები ცალკეულ საკითხებზე მოლაპარაკებას, როგორიც არის ვთქვათ ენგურის თემა ან ჰუმანიტარული პროექტები, როგორიც არის იქ მცხოვრები ქართველების მდგომარეობა, ან ეკოლოგიური საკითხები და ასეთი ტიპის სხვა რამ, მაშინ მოლაპარაკების შემოთავაზებაზე დადებით პასუხს აზრი აქვს, თუ ისინი პოლიტიკური საკითხებით დაიწყებენ, მაშინ აზრი არ აქვს, რადგან შედეგი მაინც არ ექნება“.

დასკვნა

მარიონეტული რეჟიმების პირობებში საუბარიც კი ზედმეტია ძირითადი უფლებების დაცვის რაიმე სახის გარანტიაზე. მრავლადაა ადამიანთა მკვლელობა და უკანონო დაკავება. ხშირია გაუჩინარების ფაქტებიც, რომელთა გამოძიება და სამართლის აღსრულება პრაქტიკულად შეუძლებელია საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან სურვილის არარსებობისა და სამართალდამრღვევთა ხელშემწყობი პოლიტიკის გამო.

ყოველდღიურად უამრავი ფაქტია, თუ როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები, დაწყებული ღირსებისა და თავისუფლების შელახვით და დამთავრებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ხელყოფით. ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასება ძალიან რთულია იმ პირობებში, როდესაც ვერ ხერხდება ამ ტერიტორიებზე შესვლა. არც საქართველოს სახალხო დამცველს და არც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არა აქვთ შესაძლებლობა,

ადგილზე შეაფასონ სიტუაცია,რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ოკუპაციის ზონაში მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვის სავალალო გარემოებას.

საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს ეზღუდებათ თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებები. ადამიანებს იტაცებენ თავიანთი საცხოვრებელი სახლებიდან, უკანონოდ აკავებენ და აპატიმრებენ. ოკუპანტები და მათი მარიონეტული რეჟიმები იძულებულს ხდიან პირებს, აიღონ არაქართული პასპორტები, „პასპორტიზაციის“ გამუდმებული ტალღები სრულიად უზღუდავს ადამიანებს პიროვნულ თავისუფლებას. გარდა იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური უფლებები პრაქტიკულად ფეხქვეშ გათელილია.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით: „ უკანასკნელი წლების განმავლობაში მომზადდა სახალხო დამცველის ათზე მეტი საფუძვლიანი სპეციალური ანგარიში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ანგარიშები, რომელიც ეხება განათლების, გადაადგილების, ქალთა და ბავშვთა უფლებების საკითხებს. დღემდე ძალიან „მძიმეა“ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით.დღემდე არ დამდგარა არც ერთი დამნაშავის პასუხისმგებლოს საკითხი. 2019 წლიდან მოყოლებული დღემდე, ენგურის ხიდზე, სხვადასხვა მიზეზით რამდენჯერმე შეიზღუდა გადაადგილება. ძალიან ბევრი იყო საოკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქეების ე.წ. საზღვრის კვეთისთვის უკანონო დაკავების/პატიმრობის ფაქტები და ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესის განახლება. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვა და ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობის პრობლემა. სახალხო დამცველი მუდმივად აფიქსირებს აღნიშნულ პრობლემებს და საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მეტი ჩართულობისა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

აფხაზეთის ა.რ მთავრობის თავმჯდომარე - რუსლან აბაშიძე: „ყურადღებით ვადევნებთ თვალს სოხუმში მიმდინარე პროცესებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა არ დავუშვათ ამ პროცესების ესკალაცია, რათა დავიცვათ ჩვენი საზოგადოების უფლებები აფხაზეთში. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა მექანიზმი, რომელიც არსებობს. მე ვგულისხმობ, საერთაშორისო საზოგადოებას, ყველა იმ პარტნიორს, რომელიც არის ჩართული ჟენევის დისკუსიაში და მოლაპარაკებებში, გაერო, ეუთო, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ასევე, ჩვენი საზოგადოება უნდა იყოს აქტიურად ჩართული. ეს პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს სოხუმში, არის გამოძახილი და შედეგი, რაც ხდებოდა ბოლო 25-27 წლის განმავლობაში აფხაზეთში.

დღეს ისინი ზოგადად აპროტესტებენ იმ მდგომარეობას, რომელიც არის აფხაზეთში, აპროტესტებენ ოკუპაციას, მილიტარიზაციას. ეს არის ყველაფერი ოკუპაციის, რუსიფიკაციისა და მილიტარიზაციის შედეგი, რისი მსხვერპლიც, პირველ რიგში, არის აფხაზეთის საზოგადოება. ამ შემთხვევაში მინდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის საზოგადოება ხვდება, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება აფხაზეთის ეთნოსისა და კულტურის გაქრობას, რადგან ოკუპაციის, მილიტარიზაციისა და რუსიფიკაციის პირობებში ნამდვილად აფხაზური ენა, კულტურა და ეთნოსი დგას ძალიან სერიოზული საფრთხის ქვეშ. აფხაზეთის საზოგადოების გამოძახილი და პროტესტი არის გარკვეული გმირობა იმ კუთხით, რომ ოკუპაციის, რუსიფიკაციის პირობებში ახერხებენ და აფიქსირებენ პროტესტს. იმედი გვაქვს , რომ მალე აქტიური სამშვიდობო პოლიტიკით შედეგი დაიდება და ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს“.

აფხაზეთის ა.რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ჯემალ გამახარიას, ძალიან ბევრი ნაშრომი აქვს გამოცემული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კვლევისას აქტიურადაა წარმოდგენილი აღნიშნული მასალები.

„ოკუპირებულ გალის რაიონში მუდმივად მიმდინარეობს ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევა, რასთან დაკავშირებითაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება სისტემატურად გამოხატავს მწვავე პროტესტს და მიმართავს საერთაშორისო პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს რეაგირებისათვის, დეფაქტო ხელისუფლების მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად.

იმ არნახულ დისკრიმინაციასთან ერთად, რომელსაც გალის ქართველი მოსახლეობა განიცდის კარგა ხანია, სოხუმიდან გალში ნაგავსაყრელის გადატანით, იგი აშკარა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეც აღმოჩნდება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მუდმივად გმობს ქართველი ეროვნების მოქალაქეების მიმართ სეპარატისტული ხელისუფლების მორიგ წინასწარგანზრახულ და ცინიზმით გაჯერებულ დისკრიმინაციულ ქმედებებს და მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით დაიცვან ფიზიკური და სულიერი სეგრეგაციის მდგომარეობაში მყოფი გალის რაიონის ქართველი მოსახლეობის უფლებები, არ დაუშვან ვითარების კიდევ უფრო გამწვავება“.

მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომების შემუშავება, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, გალის შეხვედრების აღდგენა, პირდაპირი დიალოგი აფხაზ საზოგადოებასთან, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

საჭიროა ძლიერი, რეალური, ფუნქციური ბიუჯეტით უზრუნველყოფილი უწყებები, ინტეგრაციული მიდგომების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს დევნილთა აქტიურ პოლიტიკურ ჩართულობას და გარკვეული ხასიათის გარიყულობის აღმოფხვრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამახარია ჯემალ, ლია ახალაძე, დაზმირ ჯოჯუა „ აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები”, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019 წელი
2. გამახარია ჯემალ, თეიმურაზ გვანცელაძე, „აფხაზეთის უძველესი დროიდან დღემდე“,გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007 წელი
3. დაზმირ ჯოჯუა, „აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები”, გამომცემლობა „ირიდა, 2014 წელი
4. ზურაბ პაპასქირი, „საქართველოს ისტორია, გამომცემლობა „ ს.ს.უ“, 2013 წელი

პერიოდიკა და ინტერეტრესურსები

1. http://abkhazia.gov.ge/page/zogadiMimoxilva
2. http://abkhazia.gov.ge/page/international
3. http://abkhazia.gov.ge/law
4. http://abkhazia.gov.ge/angarishi
5. http://abkhazia.gov.ge/analytic/57/ge
6. http://abkhazia.gov.ge/uploads/analytic/15543614611606681881.pdf
7. http://abkhazia.gov.ge/uploads/analytic/155436182367945510.pdf
8. http://ombudsman.ge/geo/saqmianobis-angarishebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-2012-2017-wlebis-saqmianobis-angarishi1
9. http://ombudsman.ge/res/docs/2019041112345256499.pdf
10. http://ombudsman.ge/res/docs/2019041113004967514.pdf
11. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_(1992-1993)
12. https://mfa.gov.ge/News/lasha-darsalia-eutos-generalur-mdivans-shekhvda.aspx
13. https://mfa.gov.ge/News/lasha-darsaliam-euto-s-mudmiv-sabchoze-ruset-saqar.aspx
14. https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-sagareo-saqmeta-saministros-carmom-(1).aspx
15. https://mfa.gov.ge/Occupied-Territories/Law.aspx
16. https://mfa.gov.ge/Occupied-Territories/%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

17. https://mfa.gov.ge/getattachment/Occupied-Territories/%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Report-of-2019-(17-02-2020).pdf.aspx
18. https://mfa.gov.ge/getattachment/Occupied-Territories/%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Report-on-HR-situationes-in-occupied-teritorries-final-2018.pdf.aspx
19. http://myrights.gov.ge/ka/my%20rights/on%20human%20rights
20. https://scara.gov.ge/ka/2010-03-17-12-49-14/2010-03-17-13-54-43.html
21. https://scara.gov.ge/ru/2011-09-08-07-44-18/977-2018-04-27-11-41-49.html
22. https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=7
23. https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5605812019GEORGIAN.PDF
24. JikiaGegenava.pdf
25. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/evropulistandartebi.pdf
26. https://iuristebi.files.wordpress.com/2012/12/e183aae183aee1839de18395e183a0e18394e18391e18390-e18393e18394e1839be1839de18399e183a0e18390e183a2e18398e183a3e1839a-e183a1e18390e18396.pdf
27. https://chai-khana.org/ka/story/723/the-1992-1993-abkhaz-war-for-young-georgians-its-history-has-begun-to-fade
28. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-16

29. http://www.parliament.ge/ge/sajaro-informacia/arqivi/kvlevebibiblioteka/sabiblioteko-eleqtronuli-fondebi/adamianis-uflebebis-dacva.page
30. https://civil.ge/ka/archives/345669
31. http://abkhazia.gov.ge/news/8957/ge
32. https://www.timer.ge/rogor-aris-asakhuli-ombucmeni-saparlamento-angarishshi-adamianis-uplebebis-mdgomareoba-okupirebul-teritoriebze/
33. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4659391?publication=0
34. https://smr.gov.ge/ge/page/26/jenevis-saertashoriso-molaparakebebi
35. https://smr.gov.ge/ge/page/61/mnishvnelovani-dokumentebi
36. https://smr.gov.ge/uploads/prev/99c4fb.pdf
37. https://smr.gov.ge/ge/page/11/regionis-shesaxeb